ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 5 ოქტომბერი, 2023 №196 (9232) ფასი: 80 თეთრი

იცილებს თუ არა „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის სახით პოტენციურ კონკურენტს?

გვ.4

„ეროვნული მოძრაობა“ ბიბლიოთეკა

რას ამბობს ლავროვი სალომე ზურაბიშვილზე

„კობახიძე ვერ ამტკიცებს, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია ნამდვილად დაარღვია!“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „კონსტიტუცია ღამის კლუბის წესდება არ არის... მეგონა, მმართველი პარტია მეტი არგუმენტით წარდგებოდა“

გვ.2

ეკა ბესელია: „ელისაშვილი ან ვინმე მსგავსი დეპუტატი პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარს თუ დაუჭერს, არ გამიკვირდება“

„სალომე ზურაბიშვილი ქუდს არ დაიხურავს და პარიზში არ გაფრინდება“

გვ.2

ნიკა მელია: „თუ ივანიშვილს ზურაბიშვილის იმპიჩმენტი გადაწყვეტილი აქვს, დარწმუნებული ვარ, ამას შეძლებს“

ანრი ოხანაშვილი: „პრეზიდენტი მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში, როცა პრეზიდენტის წარმომადგენლები სხდომის დარბაზიდან გაიქცნენ“

გვ.2



გვ.4

ყვარელში ყოფილმა პოლიციელმა კაცი მოკლა

რა სარჩელი გამოუტანა სასაართლომ მიშა მშვილდაძეზე თავდამსხმელს

გვ.3

გვ.5

რატომ მიანიჭა ერეკლე II-მ თავადობა სომხურ ოჯახებსაც?

როდის გახდება შესაძლებელი უკრაინის გამარჯვება?!

გვ.4

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური სენსაციური შედეგებით დაიწყო

გვ.7

1993230720223

2 ირაკლი კობახიძე: „ჩვენ აღარ მივიჩნევთ პრეზიდენტობის ღირსად“

3 ირაკლი ეძგვერაძე: „საგამოძიებო უწყება მოდის ჩემს კორპუსში და ცდილობს გაარკვიოს, ვინ გადაიღო თავდასხმის კადრები“

7 დღეგრძელობის იდეით შეპყრობილმა მილიარდერმა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაგრძელების საშუალებები გაამხილა

6 ექიმებმა პაციენტის კუჭში 60 ნივთი აღმოაჩინეს

„სალომე ზურაბიშვილი ქუდს არ დაიხურავს და პარიზში არ გაფრინდება“

ეკა ბესელია: „ელისაშვილი ან ვინმე მსგავსი დეპუტატი პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარს თუ დაუჭერს, არ გამიკვირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკა ბესელია პასუხობს.

– ქალბატონო ეკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს იხილავს. როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი? ვისი იდეაა და ეს რამდენად აზარალებს ამ ეტაპზე ქვეყნის ინტერესს?

– თუ რატომ დაიწყო იმპიჩმენტი მმართველმა პარტიამ, აშკარად ჩანს, რომ ერთმნიშვნელოვნად მათ ამოძრავებთ პრეზიდენტის დასჯის სურვილი. პრეზიდენტი არ ემორჩილება და ევროინტეგრაციის გზაზე ის აქტიურია, რაც არ აწყობს მმართველ პარტიას. არ უნდა, როგორც ჩანს, კანდიდატის სტატუსი. ასევე იკვეთება სხვა ქვეყნის ინტერესების შესაძლო სცენარი. როგორც ჩანს, ეს სცენარი რაღაცნაირად ემთხვევა ერთმანეთს.

ყოველ შემთხვევაში, ამ სამიდან ორი მაინც სახეზე გვაქვს. როდესაც საზიანო პროცესს იწყებ და ეს უდავოდ არის საზიანო ქვეყნისთვის, ამას უნდა ჰქონდეს ძლიერი მოტივაცია ხელისუფლების მხრიდან. ბატონმა ჟოზეფ ბორელმა ძალიან მკაფიოდ თქვა, რომ ეს პროცესი აზიანებს საქართველოს ევროპულ არჩევანს და გაუგებარია, რატომ გააგრძელა მმართველმა პარტიამ ამ პროცესის წამოწყება. მით უფრო, რომ სამართლებრივად არის გაუმართავი, ძალიან სუსტი პოზიცია აქვთ და ვერ ასაბუთებენ, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია.

– თუ პარლამენტში გადაინაცვლებს პროცესი, შეძლებს „ოცნება“ საჭირო ასი ხმის მოგროვებას? უშვებთ, რომ ოპოზიციიდან დაუჭერენ მხარს? თუ გაქვთ ვინმეზე ეჭვი, ვინც ამაზე წავა?

– თუ პარლამენტში გადავა ეს პროცესი, მე არ მინდა დავიჯერო და ასე მგონია, ვერ მოაგროვებს ას ხმას პარლამენტი და ვერ შეძლებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. თუ ელისაშვილის ტიპის დეპუტატებს გადაიბირებენ, ეს არ გაგვიკვირდეს, ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, იოლად და იაფად იყიდებიან. ამიტომ არ გამიკვირდება, ელისაშვილი და ვინმე მსგავსი თუ დაუჭერს პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარს. მიუხედავად იმისა, დღეს რა პოზიცია აქვს, სულაც არ გამიკვირდება, ხვალ ეს პოზიცია რადიკალურად რომ შეცვალოს.

– თუ შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი, წავა ქალბატონი სალომე ოპოზიციაში?

– თუ რას იზამს პრეზიდენტი, მის მაგივრად ვერ გიპასუხებთ. ამას თავად უნდა გასცეს პასუხი. ეს არის კითხვა, რომელიც უშუალოდ მას ეხება. ნებისმიერ შემთხვევაში, მე ერთი რამე მჯერა, რომ ის ბრძოლის გარეშე არსად წავა. მას ბევრი უბრძოლია საქართველოსთვის, როცა ჩამოვიდა პარიზიდან, როდესაც იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, გადადგა და ქუჩაში ვიდექით ჩვენ თვეებისა და წლების განმავლობაში და ვიბრძოდით იმისთვის, რომ ეს ქვეყანა ყოფილიყო ევროპული და სამართლიანი სახელმწიფო.

მე არ მჯერა, რომ პრეზიდენტი ქუდს დაიხურავს და პარიზში გაფრინდება.

– არის ეს ივანიშვილის შურისძიება „დაუმორჩილებელი“ პრეზიდენტის მიმართ?

– რაც შეეხება ივანიშვილს, ის რამდენად მონაწილეობს ამაში, ვერ გეტყვით. ეს ძალიან ჰიპოთეტური დაშვებებია. არ ჩანს ის არენაზე. თუმცა, ძნელად წარმომიდგენია, ეს პროცესი გაებედა მმართველ პარტიას ისე, რომ მას ეს არ სცოდნოდა. რა დოზით ერევა ახლა ივანიშვილი ამ ყველაფერში, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ამ ჯგუფს, რომელიც არამზადებისგან შედგება, ზუსტად და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეს სიტყვა ზუსტად შეეფერება კობახიძის ამ დაჯგუფებას, ნამდვილად ხელში ჩაუვარდათ ძალაუფლება, ნამდვილად სახიფათო გზაზე დგანან.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– რაც შეეხება პროცესების განვითარებას, მე ვფიქრობ, რომ მომავალი საარჩევნო წლისთვის ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სასტარტო პოზიცია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ სურათს და პოლიტიკურ კლიმატს. ამიტომ პრეზიდენტისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოცემულობა, გზამკვლევი.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, მათი დასასრული ახლოვდება! ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება მომავალ წელს, ამაში ვარ ღრმად დარწმუნებული. ოღონდ ეს უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა, არავითარმა სხვა ძალამ, არავინ ვინმე სხვამ, მხოლოდ ქართველმა ხალხმა და ჩვენ ყველამ, რომლებმაც უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით.

ნიკა მელია: „თუ ივანიშვილს ზურაბიშვილის იმპიჩმენტი გადაწყვეტილი აქვს, დარწმუნებული ვარ, ამას შეძლებს“

– თუ ბიძინა ივანიშვილს საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი ზურაბიშვილის იმპიჩმენტი, დარწმუნებული ვარ, ის ამას შეძლებს, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მელია ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იმპიჩმენტის საკითხზე ოპოზიციონერების გადაბირება მოხდება, ამას საზოგადოება უახლოეს მომავალში გაიგებს.

– რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესს, მელია აღნიშნავს, რომ პროცესები თავიდან ბოლომდე ოლიგარქის მიერაა ორგანიზებული.

რა ფორმით, რა ზეწოლით დეპუტატებზე, ეს ნათელი გახდება უახლოეს მომავალში. ფაქტია, რასაც მთელი დღის განმავლობაში თვალყურს ვადევნებთ, თავიდან ბოლომდე ორგანიზებული არის ივანიშვილის მიერ და კონკრეტულად რა საბოლოო მიზანს ემსახურება ეს პროცესი, დარწმუნებული ვარ, შეუმჩნეველი არ დარჩება არავისთვის, არც ამ ქვეყანაში და არც ქვეყნის საზღვრებს მიღმა, – ამბობს ნიკა მელია.

ანრი ოხანაშვილი: „პრეზიდენტი მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში, როცა პრეზიდენტის წარმომადგენლები სხდომის დარბაზიდან გაიქცნენ“

– დღეს, ალბათ, პირველი პრეზიდენტი მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში, როცა პრეზიდენტის წარმომადგენლები სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაიქცნენ, – ანრი ოხანაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის მიმართ საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც ოხანაშვილი აცხადებს, პრეზიდენტის წარმომადგენლებს დღეს ყველა კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა.

– აბსურდამდე მიდის მათი მსჯელობა, მსჯელობა და არა ლოგიკა და არგუმენტი. დღეს, ალბათ, პირველი პრეზიდენტი მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში, როცა პრეზიდენტის წარმომადგენლები სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაიქცნენ, თქვენ ნახეთ, ვერ გაუძლეს მარტივ შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

აბსურდია ზუსტად მათი უსუსური მსჯელობა, რომ კონკრეტული საკითხები დააკნინონ, ყველაფერზე იმსჯელეს და დაიყვანეს ეს საკითხი, თითქოს, ეს საკითხი ტელეფონით კომუნიკაციამდე დადის, იქედან გამომდინარე, რომ მათ არგუმენტები არ აქვთ, ოფიციალური ვიზიტით საქართველოს პრეზიდენტი რომ ჩადის სხვა ქვეყანაში და სხვა ქვეყნის მეთაურს ხვდება, ეს ოფიციალური ვიზიტი იყო თუ არა, თქვენ წარმოიდგინეთ, დრო დასჭირდათ, მოეფიქრებინათ რა უნდა ეპასუხათ. ბოლოს, იმდენად რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, გაიქცნენ საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან. თუმცა, ვერ ასცდებიან იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ აქვთ, ხვალ მოუწევთ ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ან მარტივად უნდა თქვან, რომ მათ პასუხი არ აქვთ, ესეც გამოჩნდება და რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებას მისცემს, – განაცხადა ოხანაშვილმა.

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ აღარ მივიჩნევთ პრეზიდენტობის ღირსად“

– როდესაც იმპიჩმენტს აღძრავ, ეს მათ შორის ჩვენი გადმოსახედიდან ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტს აღარ მივიჩნევთ პრეზიდენტობის ღირსად. ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ჩვენ აღარ მივიჩნევთ პრეზიდენტობის ღირსად. რა თქმა უნდა, შესაბამისად, იმპიჩმენტის აღძვრის საბოლოო მიზანი, თუნდაც არ გვქონდეს შესაბამისი რესურსი, ჩვენ თავიდანვე ვთქვით, პოლიტიკური განცხადება გავაკეთეთ ამაზე, რომ 100 ხმის მოლოდინი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ვარაუდი, საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის მხარდაჭერის იმედით არღვევდა საქართველოს კონსტიტუციას.

შეიძლება ჩვენ არ გვქონდეს იმედი რომ 100 ხმა მოგროვდება პოლიტიკური მიზეზების გამო ამ გადაწყვეტილების გარშემო პარლამენტში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი და ამოსავალი წერტილი არის ის, რომ წესით, პრეზიდენტი უნდა წავიდეს საკუთარი თანამდებობიდან, – თქვა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

ევა გოცირიძე: „თუკი პრეზიდენტმა გამოიჩინა წინდახედულობა და არ გამოიყენა ბიუჯეტის სახსრები, იგივე წინდახედულობა რატომ არ გამოიჩინა და არ შეაჩერა ვიზიტები“

– თუკი პრეზიდენტმა გამოიჩინა წინდახედულობა და არ გამოიყენა ბიუჯეტის სახსრები, იგივე წინდახედულობა რატომ არ გამოიჩინა და რატომ არ შეაჩერა ვიზიტები დროებით მაინც, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო მისი ქმედებების კონსტიტუციურობას არ შეაფასებდა, – ამ შეკითხვით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ევა გოცირიძემ საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელს მაია კოპალეიშვილს.

ევა გოცირიძის თქმით, ჩნდება კითხვა, პრეზიდენტის აღნიშნულ ქმედებაში ხომ არ იკვეთება ის, რომ მას არ აინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

– მას მერეც კი, რაც იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო ან გაუღერდა იმპიჩმენტის მუქარის შესახებ, პრეზიდენტმა განაგრძო ვიზიტები და ვიცით, რომ ბალტიისპირეთშიც იყო. სულ მინიმუმ, არ ქმნის ეს იმის განცდას, რომ შეიძლება კონსტიტუციურად სადავო ყოფილიყო მართლაც. თამაში ხომ არ არის, საქართველოს პარლამენტმა წამოიწყო იმპიჩმენტის პროცედურა. სულ მცირე, მას რაღაც გონივრული საფუძვლები ექნებოდა, სადავო საფუძვლები მაინც. ეს მისი მხრიდან როგორ უნდა იყოს აღქმული საზოგადოების მხრიდან ან თვითონ როგორ აღიქვამდა? არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ რაღაცას აკეთებდა ისეთს, რაც მთავრობისთვის მიუღებელია. რადგან ბოლო პერიოდში სულ აღარ იძლეოდა მთავრობა თანხმობებს და იგი აგრძელებდა ამ ვიზიტებს.

ის ფაქტი, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული იყო კონსტიტუციური პროცედურა კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით, მან რატომ არ იფიქრა, რომ მართლაც რაღაცას არაკონსტიტუციურს ხომ არ ვაკეთებ? თუკი მან გამოიჩინა წინდახედულების ერთგვარი ნორმა და არ გამოიყენა ბიუჯეტის სახსრები იგივე წინდახედულობა რატომ არ გამოიჩინა და რატომ არ შეაჩერა ვიზიტები დროებით მაინც, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო მისი ქმედებების კონსტიტუციურობას არ შეაფასებდა. არ იკვეთება ერთგვარი უგულებელყოფა კონსტიტუციური ნორმებისადმი და თუნდაც იმისადმი, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო? ხომ არ იკვეთება აქ, რომ მას არ აინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება? იქნებ მას მიაჩნია, რომ იმდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, რომ აქ კონსტიტუციის ყველა ნორმა გვერდზე უნდა გადავდოთ?

ევროპის კავშირში გაერთიანება მართლაც უზარმაზარი მიზანია, მაგრამ ევროკავშირში გაერთიანება საქართველოს სჭირდება იმიტომ, რომ გვაქვს საერთო ღირებულებები და ამ ღირებულებებში მთავარი და გადამწყვეტი არის სამართლის უზენაესობა, ხელისუფლების განაწილება, კონტროლი და ბალანსი. ევროკავშირი სწორედ ასეთ სახელმწიფოებს აერთიანებს, – განაცხადა ევა გოცირიძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძე ვერ ამტკიცებს, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია ნამდვილად დაარღვია!“

სოსო ცინცაძე: „კონსტიტუცია ღამის კლუბის წესდება არ არის... მეგონა, მმართველი პარტია მეტი არგუმენტით წარდგებოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების გამოცდილება არ აქვს, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან. მაგალითად, ამერიკაში პრეზიდენტ კლინტონის იმპიჩმენტი შედგა, სულ ახლახანს პრეზიდენტ ტრამპის.

— ამერიკაში, პრეზიდენტის არცერთი იმპიჩმენტი წარმატებით არ დასრულებულა. ანახ, ყველა ქვეყანაში პრეზიდენტის იმპიჩმენტს დიდი ხმაური ახლავს. ეს არ არის გასაკვირი. ძალიან სკანდალური იყო პრეზიდენტ კლინტონის იმპიჩმენტი. ცხადია, სკანდალური იყო იმპიჩმენტის მიზეზიც.

რაც შეეხება საქართველოს რეალობას, პრეცედენტული საქმეა, მართლაც ისტორიულია, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მმართველმა პარტიამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღო. უცებ მიღებულ გადაწყვეტილებას ჰგავს. ეს ეტყობა წარდგინების ავტორების გამოსვლებსაც. ირაკლი კობახიძის სასამართლო დარბაზში ნათქვამი, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევაზე ადრე თვალს ვხუჭავდით და მაინცდამაინც ახლა ამოგვივიდა ყელში, ცოტა არ იყოს გულუბრყვილო ნათქვამის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— თქვენთვის ეს არ იყო არგუმენტი?

— როგორ შეიძლება ეს იყოს არგუმენტი. მეტიც, ეს ანტიარგუმენტია. პრეზიდენტი თუ კონსტიტუციას არღვევს და მასზე თვალს ხუჭავს მმართველი ძალა, გამოდის, დანაშაულს ჩადის ან ამ დარღვევის თანამონაწილე ხდება. პირველივე ჯერზე არ ვუჩივლეთ, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეო. კონსტიტუცია ღამის კლუბის წესდება ხომ არ არის?! ქვეყნის მთავარ კანონზეა საუბარი, რომელიც, მათი თქმით, ქვეყნის არჩეულმა პრეზიდენტმა დაარღვია.

სიმართლე გითხრათ, მეგონა, მმართველი ძალა, თავდაპირველი კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის ავტორი, კონსტიტუციონალისტი კობახიძე მეტი არგუმენტაციით წარდგებოდა არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ საზოგადოების წინაშე. არგუმენტები უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო წარდგინების ავტორების მხრიდან. ნამდვილად აკლდათ დამაჯერებლობა. არ იყო არგუმენტაცია, რომ სალომე ზურაბიშვილმა რეალურად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია.

ეს ხომ მართლაც არ არის პირველი კურსის სალექციო თემა. საუბარია პრეზიდენტის იმპიჩმენტზე, რომელიც მართლაც უპრეცედენტოა და რომლის მიმართ საჯარო ინტერესი ძალიან მაღალია. ამიტომ ვამბობ, რომ ეტყობა მოუმზადებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილება მთელ ამ პროცესს.

— როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გამხდარიყო იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების მიზეზი?

— ძალიან რთული სათქმელია. ერთადერთი რაც შემიძლია გითხრათ, ეტყობა, რომ გადაწყვეტილება უცებ არის მიღებული.

— პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი არ გამორიცხავს, რომ თავად ბიძინა ივანიშვილს შეიძლება სურდეს იმუნიტეტის მისაღებად პრეზიდენტობა.

— არა, არა, მე გამოვრიცხავ. მაშინ გამოდის, ყველაფერი ძალიან თეთრი ძაფით არის ნაკერი. ეს ძალიან დიდი რისკია. ასეთ შემთხვევაში რა გამოდის, რომ მთელ დასავლეთს, ევროპას ვეუბნებით, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არის გასული იმიტომ, რომ მას პოლიტიკა არ აინტერესებს, არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში და ახლა უცებ ირკვევა, რომ პრეზიდენტობა უნდა?! გამოვრიცხავ, ამაზე წავიდეს ივანიშვილი. არაფორმალური მმართველობა რეალობად იქცევა.



— იმპიჩმენტის პროცესის პარლამენტში გადანაცვლების შემთხვევაში რა მოლოდინი გაქვთ?

— სამწუხაროდ, ბევრისგან განსხვავებით, მე არ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი, რომ არ განხორციელდება იმპიჩმენტი და არ გადააყენებენ სალომე ზურაბიშვილს. როგორც ამბობენ, „ოცნებას“ პარლამენტში 103 ხმა უკვე აქვს. ამაზე შემიძლია გითხრათ, რაც მმართველი პარტიაა, იგივე ოპოზიცია. უნისონშია ეს ყველაფერი. საჭირო არის ახალი პოლიტიკური ერა. საქართველოს სულ სხვა ტიპის პოლიტიკური კულტურა, სულ სხვა ტიპის მმართველი პარტია თუ ოპოზიცია სჭირდება. უკვე დროა ახალი ტიპის პოლიტიკის. ის, რასაც 30 წელია ვუყურებთ, წარსულია და მას არავითარი საერთო არ აქვს ამ ქვეყნის მომავალთან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ის, რაც ხდება, ამას არავითარი საერთო არ აქვს დემოკრატიასთან.

მერაბ ტურავა: „ბნელი გადაწყვეტილების მიღება რომ გვდომოდა, სხდომას არ ჩავატარებდით“

საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე კონსტიტუციურ წარდგინებას ზეპირი მოსმენით განხილვას დღეს, 5 ოქტომბერს გააგრძელებს.

მხარეებმა პოზიციებთან დაკავშირებით მოსამართლეების კითხვებს უნდა უპასუხონ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ უპასუხა იმ ადამიანებს, რომლებსაც პირველი დღის შემდეგ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ის კონკრეტული მხარისკენაა მიმხრობილი:

— აბსოლუტურად და სრულიად თავისუფალი ვარ, ჩვენ როდესაც გადაწყვეტილებას ვიღებთ, ვიღებთ რასაც ჩვენ ვფიქრობთ და როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის კონსტიტუციის შესაბამისი. ჩვენ ვაძლევთ ასპარეზს ყველას, ერთსაც და მეორესაც, რომ სასამართლო დაარწმუნონ თავიანთი პოზიციის სისწორეში. ჩვენ რომ გვდომებოდა რაიმე შავი, ბნელი გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ამ სხდომას საერთოდ არ ჩავატარებდით. კანონში წერია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო საერთოდ არ გამოეძახა არც წარდგინების ავტორები, არც პრეზიდენტის წარმომადგენლები, ისე, დახურულ კარს მიღმა მიეღო გადაწყვეტილება, — თქვა ტურავამ.

მოსამართლე გიორგი თევდორაშვილის განცხადებით, სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ დასკვნას ერთთვიან ვადაში, ერთი თვე სარჩელის სასამართლოში შესვლიდან აითვლება. მისი თქმით, 14-15 ოქტომბრისთვის უკვე მზად უნდა იყოს დასკვნა.

პრეზიდენტის წარმომადგენელი, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მაია კოპალეიშვილი ამბობს, რომ წარდგინება დაუსაბუთებელია და იქ არ არის მოყვანილი მტკიცებულებები. მისივე თქმით, ჩნდება ბუნებრივი კითხვა — „რატომ ახლა“?

ირაკლი ეძგვერაძე: „საგამოძიებო უწყება მოდის ჩემს კორპუსში და ცდილობს გაარკვიოს, ვინ გადაილო თავდასხმის კადრები“

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი თბილისის საკრებულოში, ირაკლი ეძგვერაძე ამბობს, რომ საგამოძიებო სამსახურის ერთადერთი მიზანი გლდანში მომხდარი თავდასხმის საქმის მიჩქმალვაა და არა გამოძიება. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც დანაშაულის ამსახველი კადრები გასაჯაროვდა, საგამოძიებო უწყება ცდილობს გაარკვიოს, ვინ გადაილო ვიდეოები.

საგამოძიებო უწყება მიდის, სადაც ვცხოვრობ მე, კორპუსში და ჩემი ოჯახის წევრებს, მცირეწლოვან ბავშვებს, ისედაც ძალიან, მართლა გადამეტების გარეშე, ძლიერი სტრესი მიადგათ, ჩემს ასაკოვან მშობლებს, მიდიან და ეუბნებიან, თუ ვინ მოიპოვა კადრები. აინტერესებთ, ვინ გადაილო კადრები.

რას ემსახურება ეს ყველაფერი, გამოძიებას?! არა, არ უნდა გამოძიებას ობიექტური ჭეშმარიტება დადგეს, იმიტომ, რომ თავად გააკეთეს ეს ყველაფერი, — ამბობს ეძგვერაძე.

ცნობისთვის, გლდანში ოპოზიციონერებზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებულია 6 პირი. ისინი წინასწარ პატიმრობაში რჩებიან. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ძალადობა ჩადენილი ჯგუფურად და ორი ან მეტი პირის მიმართ) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალი

რა სარჩელი გამოუტანა სასაართლომ მიშა მშვილდაძეზე თავდამსხმელს

თბილისის საქალაქო სასამართლომ დღეს, 4 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია ფორმულას ერთ-ერთ დამფუძნებელზე, მიშა მშვილდაძეზე თავდასხმაში ბრალდებულს, ნიკოლოზ გუგეშაშვილის 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბრალდებული ოჯახური მდგომარეობის გამო გათავისუფლებას ითხოვდა, რაც არ დაკმაყოფილდა.

* * *

ფორმულას ერთ-ერთ დამფუძნებელს, მიშა მშვილდაძეს 27 ივნისს უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

28 ივნისს, სოციალურ ქსელში მოქალაქე ნიკოლოზ გუგეშაშვილმა დაწერა, რომ 27 ივნისს ფორმულას ერთ-ერთ დამფუძნებელს, მიშა მშვილდაძეს თავს ის დაესხა. ამავე დღეს მიშა მშვილდაძეზე თავდასხმის ბრალდებით ერთი ადამიანი დააკავეს. 29 ივნისს კი, მიშა მშვილდაძეს მასზე თავდასხმიდან მესამე დღეს დაზარალებულის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა.

5 ივლისს, ფორმულამ გაარკვია, რომ მიშა მშვილდაძეზე ორგანიზებული თავდასხმის ერთ-ერთი ფიგურანტი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებელი გიორგი მუმლაძეა.

11 სექტემბერს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ტელეკომპანია ფორმულას ერთ-ერთი მფლობელის მიშა მშვილდაძის საქმე დახურულად გამოაცხადა.

მას შემდეგ, რაც სპეციალურმა საგამოძიებო უწყებამ ფორმულას ერთ-ერთი დამფუძნებლის, მიშა მშვილდაძის საქმე დახურულად გამოაცხადა, დაზარალებული დავის საერთაშორისო სასამართლოში გაგრძელებას აპირებს.

საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვა დღეს გაგრძელდება

საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის თაობაზე კონსტიტუციურ წარდგინებას ზეპირიმოსმენით განხილვას დღეს, 5 ოქტომბერს გააგრძელებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვა 3 ოქტომბრიდან მიმდინარეობს.

საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს 9 მოსამართლისგან შემდგარი პლენუმი განიხილავს.

თავად პრეზიდენტი პროცესებს არ დასწრებია. მის ინტერესებს სასამართლოში იურისტები თამარ ჩუგოშვილი და მაია კოპალეიშვილი იცავენ.

წარდგინების ავტორების სახით სხდომას ესწრებოდა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და მმართველი პარტიის სხვა წევრები: ანრი ოხანაშვილი, გიორგი კახიანი და თენგიზ შარმანაშვილი.

მმართველი გუნდის მიერ ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის დაწყების საფუძველი პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ის საგარეო ვიზიტები გახდა, რაზეც მთავრობამ სალომე ზურაბიშვილს თანხმობა არ მისცა. პრეზიდენტის თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენების საკითხი 1-ელ სექტემბერს, პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გადაწყდა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მოსამზადებლად ერთთვიანი ვადა აქვს. სასამართლოს მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პრეზიდენტის გადასაყენებლად 100 დეპუტატის ხმა არის საჭირო, რაც „ქართული ოცნების“ უმრავლესობას არ გააჩნია.

იცილებს თუ არა „ქართული ოცნება“ სალომე ზურაბიშვილის სახით პოტენციურ კონკურენტს?

„ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ საქართველო ჩამოშორდეს დასავლეთს“

მარიამ მჭედლიშვილი

საიმპიჩმენტო წარდგინების განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლოში უამრავი იურიდიული ნიუანსი გახმაურდა. ბევრი რამ ფართო საზოგადოებისთვის ბოლომდე გასაგები არ არის. ამის მიუხედავად, ნანახიდან გამომდინარე, პოლიტიკისგან დაშორებულმა მოქალაქეებმაც კი დაასკვნეს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოსარჩელეებს რაღაცისთვის დასჭირდათ.

ცხადია ერთი რამ, კონსტიტუციაში ზოგიერთი მუხლის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება. გაირკვა ისიც, რომ „ქართული ოცნების“ პრეტენზიები პრეზიდენტის მიმართ გეოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილს უარი ეთქვა ბულგარეთში ვიზიტზე. ის უნდა შეხვედროდა ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს. მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტი ამ ბულგარელ პოლიტიკოსს თბილისში შეხვდა.

– კონსტიტუციის 52-ე მუხლი, რომლის დარღვევასაც პრეზიდენტს ედავებიან, კატეგორიული არ არის, არ არის დაზუსტებული, როდის უნდა დაემორჩილოს ან არ უნდა დაემორჩილოს პრეზიდენტი პრემიერს, – ამბობს თბილისის ყოფილი პროკურორი მაია მწარიაშვილი.

რას ამბობს ლავროვი სალომე ზურაბიშვილზე

რის ფონზე წამოიწყეს მოსარჩელეებმა იმპიჩმენტი?

სალომე ზურაბიშვილს თავიდანვე დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა „ქართული ოცნების“ აქტივსა და პრემიერთან. განსხვავება პოზიციებში განსაკუთრებით გამოაშკარავდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ. უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ ბევრ სახელმწიფოს გაუცივდა კრემლთან ურთიერთობა. მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს. იმ დროს, როცა საქართველოს პრეზიდენტი აკეთებდა უკრაინის მხარდამჭერ განცხადებებს და გმობდა რუსეთის აგრესიას, სხვანაირად იქცეოდნენ საქართველოს მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები. ისინი რუსეთზე ან არაფერს ამბობდნენ, ან კრემლის მიმართ ლოიალურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ და დასავლეთს უტევდნენ. მმართველ გუნდს დღემდე არ მოუხსნია დღის წესრიგიდან ნარატივი იმის თაობაზე, თითქოს დასავლეთი საქართველოს მეორე ფრონტის გახსნას აიძულებს.

რამდენიმე თვის წინ კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ „ოცნებაში“ ძალიან აფრთხობთ სალომე ზურაბიშვილის შესაძლო პოლიტიკური მომავალი. მათ ეჭვი აქვთ, რომ სალომე ზურაბიშვილი შექმნის დიდ გაერთიანებას და სერიოზულ კონკურენციას გაუწევს მმართველ პარტიას.

არაა გამორიცხული, რომ ეს ფაქტორი ახლაც მოქმედებდეს.

პრემიერი და „ქართული ოცნების“ ლიდერები პრეზიდენტს იმასაც კი აბრალებენ, თითქოს ის აზიანებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს.

სალომე ზურაბიშვილს ყოველთვის ღვარძლიანად მოიხსენიებენ რუსეთის ოფიციალური პირები და კრემლის პროპაგანდისტები. არსებობს მოსაზრება, რომ იმპიჩმენტი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ ინიცირებულია რუსეთის საამებლად.

„ოცნების“ ზოგიერთი ოპონენტი მიიჩნევს, რომ იმპიჩმენტის დაწყების მიზანია ევროპული გზის საბოტაჟი.

პარტია „ხალხისათვის“ თავმჯდომარე ანა დოლიძე ვარაუდობს, რომ ირაკლი კობახიძე იმპიჩმენტის წამოწყებით საკუთარ მომავალზეც ფიქრობს.

– არის ჭორები, რომ ირაკლი კობახიძეს პრეზიდენტობა უნდა და თუ ეს მართალი აღმოჩნდება, მაშინ, ალბათ, ეს არის მზადება „ქართული ოცნების“ მარცხისთვის 2024 წლისთვის. თუ ვინმე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ ისევ გაიმარჯვებს 2024 წელს, მაშინ ის სამსახურს არ უნდა ეძებდეს, – მიაჩნია ანა დოლიძეს.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ ბევრად უფრო მწვავე პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, ვიდრე საგარეო ვიზიტების გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტია.

„ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ საქართველო ჩამოშორდეს დასავლეთს“

საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის ინიცირება მოხდა იმ პერიოდში, როცა უნდა გაირკვეს, ხდება თუ არა ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ერთ-ერთი გამოწვევა პოლიტიკური პოლარიზაციაა. ითქვა ისიც, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი არ წაადგება დეპოლარიზაციას.

პოლარიზაცია კიდევ უფრო გაიზარდა ფარცხალაძის გამო. პრეზიდენტმა მას საქართველოს მოქალაქეობა ჯერ არ მოუხსნა, თუმცა, მმართველი გუნდისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. ყოფილ გენპროკურორ ფარცხალაძეს აშშ-მ სანქციები დაუწესა „საქართველოზე რუსეთის მანკიერი ზეგავლენის საპასუხოდ“. აშშ ფარცხალაძეს ამხელს რუსეთის „ფსბ“-სთან კავშირში.

სუსმა, რომელიც ფარცხალაძის საქმეს სწავლობს, ყოფილი გენპროკურორი გამოჰკითხა. ბოლო დროს სუსი სხვა საკითხებითაა დაკავებული. სამსახურმა ჯერ საზოგადოებას ამცნო, რომ გარკვეულ პირთა ჯგუფი ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში არეულობასა და ხელისუფლების დამხობას გეგმავს.

მოგვიანებით გამოცხადდა, რომ ამერიკის განვითარების საააგენტოს – იუსაიდის ორგანიზებითა და ორგანიზაცია „კანვასის“ ჩართულობით, სექტემბერის ბოლოს, საქართველოში იმყოფებოდნენ სერბი ტრენერები, რომლებიც ამზადებენ აქტივისტებს არეულობის მოსაწყობად. ეს ინფორმაცია უარყო აშშ-ის საელჩომ.

პრეზიდენტის საწინააღმდეგო კამპანია მიმდინარეობს მმართველი გუნდის მხრიდან აშშ-სთან დაპირისპირების ფონზე.

საქართველოს პრეზიდენტის გარდა, რუსები და აფხაზები სხვა ქართველ ლიდერებს მისაღებად მიიჩნევენ

– ეს ყველაფერი არის იმისთვის, რომ საქართველო ჩამოშორდეს დასავლეთს და გაძლიერდეს რუსეთის გავლენა. ამის შემდეგ არავის უკვირს, რომ არ ხდება ფარცხალაძის მავნე გავლენების გამოძიება საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, – ამბობს დეპუტატი თეონა აქუბარდია.

თეონა აქუბარდია ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტი, სხვა ქართველი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მიუღებელია რუსეთის ოფიციალური პირებისა და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმისთვის:

– აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერი, რომელიც სოჭში რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შეხვდა, საუბრობს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ პრეზიდენტს, საქართველოს დანარჩენი ლიდერები პრაგმატულები არიან. მე გაგახსენებთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის განცხადებას, რომ საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებლიანი მიდგომებით გამორჩეული და მადლობა ღმერთს, რომ სალომე ზურაბიშვილი არ განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების გზას. დეპუტატის აზრით, საქართველოს მმართველ გუნდს ისევე ეშინია ტრენინგების, ახალგაზრდების, რომლებიც აპროტესტებენ ანტიდასავლურ კანონებს, როგორც რუსეთს ეშინია ფერადი რევოლუციების მისი საზღვრების სიახლოვეს.

როდის გახდება შესაძლებელი უკრაინის გამარჯვება?!

ამა წლის ზაფხულში უკრანულმა არმიამ კონტრშეტევა დაიწყო. ამას წინ უსწრებდა რუსების ჩაშლილი ზამთრის შეტევა. ოკუპანტების ჯარი სისხლისაგან დაცლილი და არაქათგამოცლილი იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრძოლა ბახმუტისათვის. რუსებმა ქალაქი დაანგრიეს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლეს. დღეს ბახმუტი უკრაინელთა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშაა.

საქმეში ჩახედული ექსპერტები ბევრად უფრო ფრთხილები იყვნენ. ისინი ხაზს უსვამდნენ შემდეგ ფაქტორებს: 1) რუსები უკრაინელებს ათჯერ აღემატებიან; შეტევის წარმატებისათვის კი აუცილებელია, მოწინააღმდეგეზე მინიმუმ სამჯერ მეტი ძალა გქონდეს; 2) რუსებმა მთელი სტეპები დანაღმეს და შესაბამისად, სამხედრო ტექნიკა იქ მარტივად ვერ გაივლიდა; 3) რუსებმა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზებზე სიმაგრეები აღმართეს (ასეთი იყო ე.წ. სუროვიკინის ხაზი ზაპოროჟიეს ოლქში). ყოველივე ეს ნამდვილად არ იძლეოდა ეიფორიის საფუძველს.

მართლაც, უკრაინელთა კონტრშეტევა წარმატებით, მაგრამ ნელი ტემპებით წარიმართა.

უკრაინელთა სარდალმა, გენერალმა ზალუჟნიმ აქცენტი მტრის ლოჯისტიკის განადგურებაზე და რუსებისათვის ქანცის გამოცლაზე გააკეთა. ამან შედეგები მოიტანა. უკრაინელებს გააჩნიათ წინსვლა დონეცკის ფრონტზე, ზაპოროჟიესა და ხერსონის ფრონტზე. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ოსტინმაც უკრაინელთა კონტრშეტევის მიმდინარეობა დადებითად შეაფასა.

ამრიგად, პუტინმა უკრაინელთა კონტრშეტევის შენელება შეძლო. უკრაინელთა შეჩერება კი რუსეთმა ვერ მოახერხა. ომმაც გაჭიანურებული სახე მიიღო. გააფთრებული პუტინი უკვე იმუქრება.

ამ სიტყვების არავის ეშინია. პრეზიდენტმა ბაიდენმა გულდასმით გააანალიზა რა შექმნილი მდგომარეობა, განაცხადა, რომ მოსკოვს ხანგრძლივი ბრძოლა აღარ ძალუძს.

ბაიდენი ეყრდნობა როგორც ღია (პრესა, ტელევიზია), ისე დახურულ ინფორმაციას. მას მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები ეთანხმებიან. მათი აზრით, ომი მაქსიმუმ 2025 წელს დამთავრდება. ესეც იმ შემთხვევაში იქნება, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა (სასახლის გადატრიალება რუსეთში და ა.შ.). უკრაინის გამარჯვება უეჭველია. ომის დასასრულისათვის უკრაინა 1991 წლის საზღვრებში აღდგება, მაგრამ უკრაინელებს დიდი საზღაურის გაღება მოუწევთ. უკრაინაში რუსეთის დამარცხება როგორც დიდი სახელმწიფოს დასასრულს ნიშნავს. პუტინიც კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ყველაფერზე წავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამართალი

დაკავებულია პირი, რომელმაც თბილისში, ერთ-ერთ მიწისქვეშა ავტოსადგომზე, 6 მანქანა გაქურდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თბილისში, წარსულში ნასამართლევი 1977 წელს დაბადებული, მ.თ. ქურდობის ბრალდებით, დააკავეს. უწყება ამბობს, რომ 2 ოქტომბერს პირმა ერთ-ერთ მიწისქვეშა ავტომობილების სადგომზე 6 მანქანა გაქურდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს თბილისში, ერთ-ერთ მიწისქვეშა ავტომობილების სადგომზე 6 მანქანა გაქურდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს. დანაშაული 7-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ყვარელში ყოფილმა პოლიციელმა კაცი მოკლა



ყვარელში მკვლელობა მოხდა. ყოფილმა პოლიციელმა 47 წლის კაცს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

მიღებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. შემთხვევა გვიან ღამით სოფელ ჭიკაანში მოხდა.

ადგილობრივების თქმით, გარდაცვლილი და სავარაუდო დამნაშავე სოფლის მიმდებარედ ქეიფობდნენ, რა დროსაც სიტყვიერი შელაპარაკება დაიწყო. არსებული ინფორმაციით, ფაქტის დროს დაშავდა კიდევ ერთი ადამიანი, თუმცა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ხორეთში სტიქიამ 8 სექტემბერს გაკეთებული დროებითი ხიდი დააზიანა

ლანჩხუთის მერიის ცნობით, სოფელ ხორეთში სტიქიამ 8 სექტემბერს გაკეთებული დროებითი ხიდი დააზიანა. როგორც უწყება წერს, მაშინ დაზიანებული ხიდის ადგილას დროებითი გადასასვლელი გზა მოეწყო, რათა მოსახლეობას გადადგილება შეძლებოდა.

– აღნიშნული სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეასრულა და 4 დღეში დროებითი ხიდი მოაწყო, რაზედაც ფინანსური რესურსი არ დახარჯულა. 3 ოქტომბრის სტიქიამ აღნიშნული გადასასვლელი დააზიანა და დღეს ამ დროებით ხიდზე გავლა შეუძლებელია, – დაწერა მერიამ.

მათივე ინფორმაციით, დაწყებულია ძველი ხიდის დემონტაჟი და უახლოეს დღეებში დაიწყება ახალი ხიდის მშენებლობა, თუმცა, მანამდე ისევ დროებითი გადასასვლელი გზის მოწყობაა საჭირო, რათა მოსახლეობამ გადაადგილება შეძლოს. უწყების ცნობით, მობილიზებულია ტექნიკა და საჭირო ინფრასტრუქტურული მასალები, რომ დროულად მოხდეს დროებითი კონსტრუქციის მოწყობა.

შეგახსენებთ, რომ გურიაში გასულ ღამეს სტიქია იყო. ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა ოზურგეთი. უხვმა ნალექმა დააზიანა საგზაო ინფრასტრუქტურა. დატბორილია საცხოვრებელი სახლები და კომერციული შენობები. მათ შორის ოზურგეთის ცენტრალური ბაზარი, სადაც დასაქმებულებს პროდუქცია, რომელიც მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სრულად გაუნადგურდათ. ხალხი დახმარებას ითხოვს.

რატომ მიანიჭა ერეკლე II-მ თავადობა სომხურ ოჯახებსაც?

ქართველი მეფეები თავადურ პრივილეგიას დევნილობაშიც ანიჭებდნენ, თუკი ისინი ხელქვეითთა ერთგულებაში დარწმუნდებოდნენ. ისტორიის მანძილზე თავადობა მყარი პრივილეგია არ ყოფილა და მისი ჩამორთმევა მეფის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული.

ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან საქართველოში არსებობდა ფეოდალური იერარქია, რომელიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: თავადები და აზნაურები. თავადებს საკუთარი სამფლობელო – სათავადო ჰქონდათ. სათავადოები მე-15 საუკუნის ბოლოს, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ წარმოიშვა. გვარის უფროსი, რომელიც თავადის წოდებას ატარებდა, სათავადოს მმართველად იწოდებოდა. სწორედ მასთან მიდიოდა ამ სამფლობელოს შემოსავლის გარკვეული ნაწილი. თუმცა, არ ჩავთვალოთ, რომ მთელი სოციალური პრივილეგიები მათ ეკუთვნოდათ, შემოსავლების გარკვეული ნაწილი განკუთვნილი იყო გვარის სხვა წარმომადგენლებისთვის, თავადის უმცროსი ნათესავებისთვის, რომელნიც იწოდებოდნენ თავადიშვილებად. გვარის უფროსი ფლობდა მთავარ საგვარეულო ციხე-სიმაგრეს, ეკლესიასა და საოჯახო საძვალეს, მისი ნათესავები კი განსახლებული იყვნენ სხვა საგვარეულო სამფლობელოებში. თავადური ოჯახები ცდილობდნენ საგვარეულო სამფლობელოების გაყოფის თავიდან აცილებას. თითოეულ სათავადოს ეკუთვნოდა საკუთარ აზნაურთა და გლეხთა გარკვეული რაოდენობა.

ზოგიერთი განაპირა ანუ სასაზღვრო ტერიტორიის მმართველი ერისთავის წოდებას ატარებდა, მათი ოჯახის წევრები კი ერისთავისშვილებად იწოდებოდნენ. ქართლის სამეფოში ცნობილია არაგვის და ქსნის ხეობების ერისთავები, რომლებიც იცავდნენ მთის შემოსასვლელებს მტერთაგან. იმერეთის სამეფოში ერისთავის წოდებას ატარებდა რაჭის მმართველი. თავდაპირველად ერისთავებად იწოდებოდნენ სამეგრელოს, გურიის, სვანეთის და აფხაზეთის მმართველნიც, რომელთაც უკვე მე-16 საუკუნეში მიაღწიეს სამეფო ხელისუფლებისგან ფაქტიურ დამოუკიდებლობას და გადაიქცნენ მთავრებად, რომლებიც ამ წოდებას და, შესაბამისად, მთელ სამფლობელოებს თავის მემკვიდრეებს გადასცემდნენ. ფაქტობრივად, ისინი მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ იმერეთის მეფეების ვასალებად. თუმცა, მათი ასეთი მდგომარეობაც არ იყო მყარი. მართალია, სათავადოები და საერისთავოები ითვლებოდნენ სამემკვიდრეო სამფლობელოებად და თითქოს მათი პრივილეგიები მათ შთამომავლებს უნდა გადასცემოდა, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც იცვლებოდა მმართველთა დინასტიები ან როცა მეფე აღნიშნულ სათავადოს სხვა საგვარეულოს უბოძებდა.

გაძლიერებული სათავადოების მმართველები მეფისგან განცალკევებას ცდილობდნენ, ამიტომაც სამეფო ხელისუფლება ცალკეულ საერისთავოებს აუქმებდა. ასე მაგალითად, 1743 წელს კახეთის, მოგვიანებით კი ქართლის მეფე თეიმურაზ II-ის მიერ გაუქმებულ იქნა არაგვის საერისთავო. მოგვიანებით მისმა ვაჟმა, მეფე ერეკლე II-მ, ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების შემდეგ 1773 წელს გააუქმა ქსნის საერისთავო, ხოლო იმერეთში მეფე სოლომონ I-მა 1769 წელს გააუქმა რაჭის საერისთავო.

* * *

როგორც წესი, ერისთავთა სამფლობელოების ხელში ჩაგდების შემდეგ მეფეები მათ უბოძებდნენ ხოლმე საკუთარ ოჯახის წევრებს – ბატონიშვილებს. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელი ბატონიშვილები, სხვა ფეოდალთა მსგავსად, უზრუნველყოფილნი იყვნენ სამემკვიდრეო სამფლობელოებით (მამულებით). ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთმა თავადურმა შტომ, მუხრანის მფლობელებმა, მოახერხეს, რომ 1512-დან 1801 წლის ჩათვლით ხელშეუხებლად შეენარჩუნებინათ თავიანთი სამემკვიდრეო მამული, რომელიც თავის დროზე უბოძეს ქართლის მეფის, კონსტანტინე II-ის უმცროს შვილს – ბაგრატს. მუხრანის სამფლობელოს განსაკუთრებული სტატუსი აისახა ამ სამფლობელოს მმართველთა ტიტულატურაში – ისინი იწოდებდნენ მუხრან-ბატონებად.

ქართულ თავადურ გვართა შორის გვხვდება არაერთი უძველესი ოჯახი, რომლებიც საქართველოს სამეფოს ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი. ზოგიერთმა გვარმა შეინარჩუნა ასეთი ძველი დასახელება, ზოგმა კი ახალი სახელი მიიღო. ხშირად თავადური გვარები წარმოდგება მეტსახელებისგან, რომელთაც ამა თუ იმ გვარის სახელწოდებაში დაიმკვიდრეს ადგილი. თუნდაც ბარათაშვილი, ანუ ბარათას შვილი, სააკაძე – სააკის ძე. თავადურ გვართა ნაწილი ნაწარმოებია ამ გვარის წარმომადგენლის სამეფო თუ ადმინისტრაციული ჩინისგან, მაგალითად, ამილახვარი წარმომდგარია ამილახორისგან, რომელიც სამეფო კარზე მეჯინებეთუხუცესის თანამდებობა იყო, ერისთავი – ერის თავის წოდებისგან. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ძველ თავადურ გვარებს მიეკუთვნებიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუაში, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ბაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგები, სამძივარი, ფარჯანიანი, ნესიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქიძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქუენაფლაველი, ჯავახიშვილი, ბურსელი და სხვანი. ბევრი მათგანი დღეს აღარ არსებობს.

ტრადიციის მიხედვით, თავადებად გვევლინებოდნენ მეფეთა და მთავართა სიძეები. მაგალითად, მე-18 საუკუნეში იმერეთში მცხოვრები აზნაური ხახუტა ასათიანი გახდა ასათიანთა თავადური შტოს ფუძემდებელი მას შემდეგ, რაც იქორწინა დაქვრივებულ დედოფალ თამარზე, კოჭიბროლად წოდებულზე. დედოფალი თამარი მეფე გიორგი VI-ის (1703-1720) მეუღლე და გიორგი VII-ის დედა გახლდათ.

შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როცა დაწინაურებული ზოგიერთი გვარი ჰკარგავდა პრივილეგირებულ სტატუსს, სხვანი კი, პირიქით, წინაურდებოდნენ და თავადურ წოდებას იღებდნენ. ასე მოხდა თავად ამილახვართა შემთხვევაში, რომლებიც აზნაურ ზედგენიძეთა შთამომავალნი იყვნენ. ისინი თავადის წოდებას ატარებდნენ, როგორც ჯილდოს, ერთ-ერთი მათი წინაპრის თავგანწირვის გამო, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად თავდასხმისგან გადაარჩინა საქართველოს მეფე გიორგი VIII (1446-1466).

* * *

ზოგიერთმა გვარმა თავადობა მეფე არჩილ II-სა და ვახტანგ VI-გან რუსეთში, განდევნილობაში მიიღო. მათი დაწინაურების ძირითადი მიზეზი ქართველი მეფეების ერთგული სამსახური იყო. თავადურ წოდებაში საქართველოში აყვანილნი იყვნენ არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ ჩამოსული გვარებიც, თუმცა, მათი ჩამოსვლის შესახებ შეთხზული ლეგენდები ყოველთვის არ დასტურდება. მაგალითად, აფხაზ მთავართა, შარვაშიძეთა გვარი შირვანშახისგან (შირვანის მფლობელისგან) წარმოშობილად ითვლება, თავადი ანდრონიკაშვილი ბიზანტიის იმპერატორთა – კომნენთა დინასტიას უკავშირდება, ხოლო თავად სააკაძეთა გვარი დაუკავშირეს შამხალებს.

მეფე ერეკლე II-ის დროს თავადობა რამდენიმე გავლენიან სომხურ ოჯახს მიენიჭა – აბამელიქებს, ამათუნებს, კამსარაკანებს, ხოჯამონასოვებს. საქართველოს თავადურ გვართა შორის საკმაოდ მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ სომხური წარმოშობის გვარები: ბუბუთაშვილები (ბუბუთოვები), ბეგთაბეგიშვილები (ბეგთაბეგოვები), სუმბათაშვილები (სუმბათოვები). ზოგიერთი მათგანი – მხარგრძელი-არღუთაშვილები ღრმა წარსულს, მე-12-13 საუკუნეს განეკუთვნება, ზოგი კი მოგვიანებით დაწინაურდა, მე-17-18 საუკუნეებში.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით, სამეფო ოჯახისა და მუხრან-ბატონების შემდეგ იერარქიულად მოდიან: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ორბელიშვილი, ციციშვილი.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

ოჯახმა დაკარგული საყურეების ძებნაში ვიკინგების განძს მიაგნო



ნორვეგიული ოჯახი ლითონმაძიებლის გამოყენებით საკუთარი სახლის ეზოში დაკარგულ საყურეებს ეძებდა, როდესაც ვიკინგების უნიკალურ განძს მიაკვლია.

ძვირფასი აღმოჩენა, რომლის ასაკი ათას წელს აღემატება, კუნძულ იომფრულანდზე მცხოვრებმა ასავიკების ოჯახის წევრებს ეკუთვნით.

ოჯახის ერთ-ერთ ქალს სახლის ბაღში საყურეები დაეკარგა და ვეღარ პოულობდა. მას ახსოვდა, რომ სამკაული ბებერი ხის ქვეშ ბალახებში დაუვარდა. ასავიკები საყურეების ძებნას ხის გარშემო ლითონმაძიებელი ხელსაწყოს გამოყენებით შეუდგნენ და მისი წყალობით სულ სხვა რაღაცას გადააწყდნენ.

მათ მიწიდან ამოთხარეს თასის ფორმის უძველესი ბალთა და კიდევ ერთი არტეფაქტი. ვესტფოლისა და ტელემარკის ისტორიული გუბერნიის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოჯახის მიერ ნაპოვნი ნივთები მე-9 საუკუნეში იყო დამზადებული და ქალს ეკუთვნოდა. ექსპერტების თქმით, სავარაუდოდ, ნორვეგიული ოჯახის ეზოში, შესაძლოა, ვიკინგების ეპოქის უძველესი სამარხი აღმოჩნდეს.

უფრო მეტიც, ისტორიკოსების თქმით, ეს ნივთები მართლაც უნიკალურ აღმოჩენას წარმოადგენს, ვინაიდან ისინი კუნძულზე ნაპოვნ ვიკინგების ეპოქის პირველ არტეფაქტებს წარმოადგენენ. იქ ადრეულ შუა საუკუნეებში დასახლების არსებობის შესახებ ადრეც იყო ცნობილი, თუმცა, ეს აღმოჩენა ამის პირველ მატერიალურ დადასტურებას წარმოადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ცოტა რამ სამკურნალო მცენარეებზე

სამკურნალო მცენარეების გახმობა საჭიროა ჩრდილში. სასურველია, რომ ბალახებზე „სეირნობდეს“ მსუბუქი გამჭოლი ქარი.

ზოგიერთები კითხულობენ: შეიძლება თუ არა გაზის ქურის ჰაერღუმელის გამოყენება? შეიძლება, მაგრამ საჭიროა ძალიან სუსტი ცეცხლის დანთება, რომ ძალიან არ გამოშრეს. ყოველი ბალახი, ფოთლები, ფესვები ჩადეთ ცალკე თოფრაკში, რომელიც შეკერილია მარლის ან ქსოვილის რამდენიმე შრისგან. [illegible]ააწერეთ, რომელი მცენარეა, როდის [illegible]ოვდა, ჩამოკიდეთ გრილ და მშრალ ადგილას.

გთავაზობთ თითოეული მცენარის სამკურნალო თვისებებს.

კრაზანა – ტკივილების მოსახსნელად კუჭში, ნაწლავებში, ღასაწყნარებლად.

გვირილა– ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, ტკივილების მოსახსნელად, ყელში გამოსავლებად.

შვიტა – მრავალი შინაგანი დაავადების, თირკმელების მკურნალობისთვის.

„პუსტირნიკი“ (ძაღლის ჭინჭარი) – დასაწყნარებელი საშუალება.

ღიღილო – შარდმდენი, როგორც ნაყენების დამატება, რომლებიც შველიან თირკმელების სხვადასხვა დაავადებებს.

კალენდულა – ორი-სამი მშრალი ყვავილი ძალიან კარგია დაემატოს გამონახარშებს კუჭის, ღვიძლის, თირკმელების მკურნალობის დროს.

ჭინჭარი – სისხლდენის შემცირებისთვის, სისხლის შედგენილობის გასაუმჯობესებლად.



არყის ხის კვირტები – კუჭის ლორწოვანი გარსის ანთების, წყლულების მკურნალობისთვის.

კუნელი – წნევის რეგულირებისთვის, გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კატაბალახას ძირები – საშუალება ნერვული სისტემის დასაწყნარებლად, გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად, თავის ტკივილების მოსახსნელად.

ცირცელი – ხალხურ მედიცინაში ცირცელის ნაყოფი გამოიყენება როგორც ოფლმდენი, შარდმდენი საშუალება, სისხლდენების შესაჩერებლად, როგორც მსუბუქი დამასუსტებელი მადის, კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებისთვის. მის ნაყენებს და გამონახარშებს თუ მივიღებთ რეგულარულად, დადებით ზეგავლენას ახდენს სისხლძარღვებზე, შველის ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, თირკმელების დაავადებების მკურნალობაში.

ასკილი – ვინ არ იცნობს ამ წითელ მბრწყინავ კენკრას! მაგრამ ყველასთვის არ არის ცნობილი, რომ ისინი ნამდვილი საწყობია სხვადასხვა ვიტამინების, კაროტინის, გლუკოზისა და ფრუქტოზის, პექტინური ნივთიერებების, ლიმნისა და ვაშლის მჟავების, ეთერზეთებისა. ვიტამინების მრავალფეროვნებისა და რაოდენობის მიხედვით ასკილის კენკრამ გაუსწრო ჩვენი რეგიონის მრავალ მცენარეს.

ასკილის ნაყენები და გამონახარშები, მათი შეხამება სხვა ბალახებთან, ჩაიზე დამატება ხელს უწყობს შეივსოს, აგრეთვე განახლდეს კიდეც ორგანიზმში ვიტამინების მარაგი, თავიდან აცილებულ იქნას მრავალი დაავადება, ან ჩატარდეს მკურნალობა. აი, ასკილის ზოგიერთი თვისება, ოდესღაც ხალხში პოპულარული, ამჟამად კი, სამწუხაროდ, დავიწყებული.

ასკილის ძირებს იყენებენ აბაზანებისთვის დამბლების დროს, აგრეთვე დიზინტერიის, თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ჰიპერტონიის დროს. ტოტები და ფოთლები (მათი გამონახარშები) ხსნიან ტკივილებს რადიკულიტის, კუჭის კოლიკების დროს.

შავი მოცხარი – კიდევ ერთი ვიტამინებითა და სხვადასხვა სასარგებლო მიკროელემენტებით უაღრესად მდიდარი კენკრა. ზამთრისთვის კარგია სახლში გვქონდეს გახეხილი მოცხარი შაქრით, მისი წვენი, უბრალოდ ხმელი კენკრა. რეკომენდებულია ყველაფერი ამის გამოყენება ვიტამინების მარაგის შესავსებად, ძლიერი გაციებისა და ყველა შინაგანი ორგანოს დაავადების დროსაც.

სასარგებლოა, სხვადასხვა ბალახეულის გამონახარშს დაემატოს შავი მოცხარის ახალგაზრდა ფოთლები. ისინი აუმჯობესებენ სასმელების საგემოვნო თვისებებსაც და ამაღლებენ მათ სამკურნალო მოქმედებას.

ბაიდენმა მოკავშირეებთან სატელეფონო თათბირი გამართა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბადენმა ტელეფონით მოკავშირეებთან თათბირი გამართა. მასში მონაწილეობდნენ: ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი, იაპონიის პრემიერი კისიდა, კანადის პრემიერი ტრიუდო, იტალიის პრემიერი მელონი, გერმანიის კანცლერი შულცი, ბრიტანეთის პრემიერი სუნაკი, პოლონეთის პრეზიდენტი დუდა, რუმინეთის პეზიდენტი იოჰანესი.

თათბირის ძირითადი თემა უკრაინისათვის დახმარების გაგრძელება იყო.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი უკრაინაში კორუფციასთან ბრძოლის დაწყებას მიესალმება. ასეთი განცხადება გააკეთა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მეთიუ მილერმა.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი საგანგებოდ შეჩერდა ცნობილი ოლიგარქის კოლომოისკის დაკავებაზე. მილერმა იმედი გამოთქვა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და კოლომოისკის მალე სხვებიც მიჰყვებიან.

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. კუპიანსკის მიმართულებით შედარებით სიწყნარე იყო. რუსები შეტევაზე გადასვლას არ ცდილობდნენ. კუპიანსკის ფრონტი თავად პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოინახულა. ის მებრძოლებს ესაუბრა და პირადად გაამხნევა.

ლიმანის მიმართულებითაც არაფერი შეცვლილა. რუსები მხოლოდ დაბომბვებით შემოიფარგლნენ, მაგრამ სახმელეთო იერიშზე გადასვლა ვერ გაბედეს.

არაფერი შეცვლილა დონეცკის ფრონტზეც. უკრაინელები კვლავინდებურად ინარჩუნებენ პოზიციებს დონეცკის მახლობად მდებარე სოფელ ოპიტნოესთან და სპარტაკთან. ამაოა რუსების ყველა მცდელობა, განამტკიცონ აქ თავიანთი მდგომარეობა. შეტევები არც ავდეევკა-მარინკის მიმართულებით შეწყვეტილა. ოკუპანტების ყველა მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ, ამაო გამოდგა.

საინტერესო ვითარება შეიქმნა ზაპოროჟიეს ფრონტზეც. უკრაინელები განაგრძობენ შეტევებს ბერდიანსკსა და მელიტოპოლისაკენ. რობოტინოსთან დაფიქსირებულია უკრაინელთა წინსვლა. უკრაინული არმიის პლაცდარმი გაფართოვდა. პარალელურად უკრაინული არმია ბერდიანსკს მიუახლოვდა.

ბრძოლებია ხერსონის მიდამოებში. აქ ოკუპანტებმა გააძლიერეს შეტევები ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზე არსებულ კუნძულებზე. რუსები მთელი ძალებით ცდილობენ ამ კუნძულებზე კონტროლის შენარჩუნებას. მძაფრი ბრძოლები გრძელდება.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მხოლოდ გასული დღის განმავლობაში უკრაინელებმა 460 ოკუპანტი მოსპეს. სულ ომის დაწყებიდან დღემდე რუსების რიგებში შემდეგი მსხვერპლია:

ტანკები – 4.732; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 9.008; არტილერია – 6.565; თვითმფრინავები – 315 ; ვერტმფრენები – 316.

განადურებულა 279.440 ოკუპანტი

დანაკარგებისათვის რევანშის აღება ოკუპანტებმა დაბომბვებით სცადეს. კვლავ დაიბომბა ზაპოროჟიე, ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი. სამაგიეროდ, უკრანელებმა დაარტყეს რუსეთის ტერიტორიას. დაიბომბა ბრიანსკი, კურსკი, ორიოლი, ვორონეჟი. კრასნოდარი. სააგენტო „რია ნოვოსტის“ ცნობით, მხოლოდ ბრიანსკში დაინგრა 50-მდე შენობა, დაიღუპა 17 ადამიანი. ამრიგად რუსეთი, ისევე როგორც უკრაინა, ცეცხლში გაეხვია.

რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტმა საქმე აღძრა პრეზიდენტ ზელენსკისა და უკრაინული არმიის სარდლის გენერალ ზალუჟნის წინააღმდეგ. ეს მართლაც კომიკური გადაწყვეტილებაა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ქალმა დამსაქმებლის ფულით მდიდრული ცხოვრება მოიწყო

შოტლანდიის მკვიდრმა თავისი დამსაქმებლის კუთვნილი ფული 1,5 მილიონი ფუნტ სტერლინგი მიითვისა და მდიდრული ცხოვრება მოიწყო.

55 წლის კოლინ მიურჰედი ქალაქ აბერდინში ლითონგადამამუშავებელ კომპანიაში 2015 წლის ივნისიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით მუშაობდა. ამ დროის განმავლობაში ადმინისტრაციული საკითხების დამხმარე ადგენდა ყალბ ანგარიშებს არარსებულ კლიენტებზე და დამსაქმებლის ფულს ითვისებდა. მოპარული ფულით ქალი ძვირადღირებულ სასტუმრობში ისვენებდა, ყიდულობდა ავტომობილებს, მოტოციკლებსა და სახლებს ბორბლებზე. გარდა ამისა, ის ფულს საქველმოქმედო ღონისძიებებზე ხარჯავდა, ყველა დამსწრის საკვებისა და სასმელის ფულს იხდიდა.

მიურჰედის საქმიანობის შესახებ ცნობილი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა, როდესაც მისმა კოლეგამ საბუთები შეისწავლა და მათში კომპანიის არარსებული კლიენტები აღმოაჩინა. პოლიციამ ქალის ბინაში ჩხრეკა ჩაატარა, რომლის შედეგადაც მის მიერ სატრანსპორტო საშუალებების შეძენის საბუთებს, ნაღდ ფულსა და მსხვილ თანხებზე სასაჩუქრე სერტიფიკატებს მიაგნო. ქალი დააპატიმრეს. მან აღიარა, რომ ყალბ საბუთებს ადგენდა და კომპანიის ფულს ითვისებდა. მას მინიმუმ სამი წლით პატიმრობა ემუქრება. მისი საქმის სასამართლო განხილვა 2024 წლის იანვარში დაიწყება.

ექიმებმა პაციენტის კუჭში 60 ნივთი აღმოაჩინეს

ინდოეთში ექიმებმა ათეულობით სხვადასხვა საგანი აღმოაჩინეს მამაკაცის კუჭში, რომელიც ტკივილებს უჩიოდა.

35 წლის კულდიპ სინგხი ორი წლის მანძილზე მუცლის არეში ტკივილებს უჩიოდა. როდესაც უსიამოვნო შეგრძნებები გაუძლიერდა, ხოლო სხეულის ტემპერატურა აეწია, სამედიცინო დახმარებისთვის პენჯაბის შტატის ქალაქ მოგას საავადმყოფოს მიმართა. ექიმებმა მამაკაცს კვლევა ჩაუტარეს და მის კუჭში 60-მდე სხვადასხვა საგანი აღმოაჩინეს, რომელთა შორის იყო ჯაჭვი, ჭანჭიკები, ყურსასმენები და ღილები. ექიმებმა მამაკაცს პიკაციზმის დიაგნოზი დაუსვეს, რომლის დროსაც ადამიანს რაიმე ისეთი განსხვავებულის მიღება უნდება, რომელიც არ იჭმება. ყველაზე ხშირად ასეთი რამ ფეხმძიმე ქალებს ემართებათ, ასევე პატარა ბავშვებსა და ფსიქიკურად დაავადებულებს.

სინგხს სამსაათიანი ოპერაცია ჩაუტარდა, რომლის დროსაც ექიმებმა მისი კუჭიდან ყველა უცხო სხეული ამოიღეს. ამის მიუხედავად, ამ დროისთვის მამაკაცი ისევ საავადმყოფოში იმყოფება, კრიტიკულ მდგომარეობაში. ის ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზეა შეერთებული.

უნიკალური ჯიბის ბიბლია აუქციონზე გაიყიდა



დიდ ბრიტანეთში აუქციონზე 42 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა უნიკალური, მე-13 საუკუნის ბიბლია.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ უნიკალური უძველესი ბიბლია მოხეტიალე ბერისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული ისტორიული ექსპონატი წარმოადგენს ლათინურ ენაზე შედგენილ ბიბლიას და მასში 150 ფრინველის, ლომისა და ურჩხულის მოოქროვილი გამოსახულებაა.

აუქციონის სახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ნივთი წარმოადგენს მე-13 საუკუნის პარიზული ბიბლიის შესანიშნავ ეგზემპლარს, რომელიც ბიბლიოგრაფიისა და წიგნების წარმოების ისტორიაში უდიდეს რევოლუციად მიიჩნევა.

პარიზულ ბიბლიებს ბერები პარიზის უნივერსიტეტში ამზადებდნენ. ასეთი ბიბლიები თხელ პერგამენტზე ძალიან წვრილი შრიფტით იწერებოდა, რაც მის ტარებას აადვილებდა. ისინი წამოადგენდნენ პირველ ჯიბის წიგნებს, რომელბიც მანამდე იყო გავრცელებული, სანამ მე-14-15 საუკუნეებში წიგნების ბეჭდვა დაიწყებოდა. ისინი არა მხოლოდ ღვთისმსახურებისა და ბერებისთვის იყო განკუთვნილი, არამედ მისი შეძენა კერძო პირებსაც შეეძლოთ.

გლოსტერშირის საგრაფოში გამართულ აუქციონზე გაყიდული ბიბლია 1233-1240 წლებით თარიღდება. დადგენილია, რომ ის ფრანცისკანელი ბერების მიერ იყო შექმნილი. მე-19 საუკუნეში და ვინმე დიპლომატს ეკუთვნოდა, მოგვიანებით კი ესექსის საგრაფოში ბილის სააბატოში ინახებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დუდუ დადიანის ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია

დუდუ დადიანის მემორიალის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ მხოლოდ 1 ნახევარფინალისტის ვინაობა იყო ცნობილი. შედეგად, დასკვნით მატჩებში ინტრიგა იყო.

ა ჯგუფი

რუსთავი-დელტა 78:86

(23:22; 15:25; 19:19; 21:20)

ერთადერთი მატჩი, რომელიც სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა. ორივე გუნდმა გასულ ტურებში მარგვეთთან წააგო და ჯგუფში პირველი ადგილზე გასვლის იმედი გადაიწურა.

თანაბარ ბრძოლაში გამარჯვება გურჯაანელებს დარჩათ, რომლის შემადგენლობაშიც დიდებული მატჩი ჩაატარა ბექა ბექაურმა. თსუ-დან დელტაში გადასულმა მეფარემ 30 ქულა, 11 მოხსნა და 6 დაფარება მიითვალა. ბექაურმა 4-დან 4 სამქულიანი ჩააგდო, ფარქვეშიდან კი, 9-დან 6. ქუთაისიდან გურჯაანულ კლუბში გადასულმა ჯარვის რეიმ 22 ქულა მიითვალა; ხოლო ახალმა ლეგიონერმა, კოუბი დიქსონმა თავი 12 ქულასა და 8 მოხსნას მოუყარა; რუსთაველთაგან 18 ქულით ბომბარდირი ლუკა ბულაშვილი გახდა; 16 ქულა და 8 მოხსნა ჯორდან ჰენდერსონმა მიითვალა; სეთ მაქსველის ანგარიშზე კი, 15 ქულა დაგროვდა.

ბ ჯგუფი

ივერიონი-ქუთაისი 80:86

(15:21; 25:16; 19:29; 21:20)

სასურველი სხვაობით მოგების შემთხვევაში, გორის ივერიონს ნახევარფინალში გასვლის შანსი ჰქონდა, მაგრამ ეს იმდენად რთული მისია გახლდათ, რომ მისი შესრულება შიდა ქართლელებისგან გმირობას მოითხოვდა. სუპერლიგის დებიუტანტის კვალობაზე გორელებმა კარგად ითამაშეს და სახელიან მეტოქეს ტოლი არ დაუდეს. დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილი გუნდი კარგა ხანს ლიდერობდა, მაგრამ არც ქუთაისი ჩამორჩებოდა. თუმცა, არცერთი გუნდის უპირატესობა 9 ქულას არ ასცილებია, არადა, ივერიონს 17-ქულიანი გამარჯვება ესაჭიროებოდა.

თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისელები ნახევარფინალში გავიდოდნენ. გორელებმა შეტევებით გული იჯერეს და შეხვედრა შესათამაშებლად, სუპერლიგის წინ გამოცდილების მისაღებად გამოიყენეს. ქუთაისელებმა შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს და მოპოვებული გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდეს.

ქუთაისში 18 ქულითა და 6-6 მოხსნა-პასით საუკეთესო იყო დეტრეკ ბრაუნინგი; 13 ქულა და 9 მოხსნა აკაკი დვალიშვილმა მიითვალა; 14-14 ქულა გიორგი ოჩხიკიძემ და მარქუს გილსონმა გაიფორმეს; გორელთა გუნდში 20 ქულით, 15 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო გეგი ბაქრაძე; 22 ქულა და 8 მოხსნა მეთ ნორმანმა მიითვალა.

ს ჯგუფი

ბათუმი-კავკასია 98:91

(22:20; 30:26; 21:27; 25:18)

ეს გახლდათ ჯახი, რომელიც თანაბარ ბრძოლაში რომ დაიწყო, ასევე დასრულდა. გუნდების ძალთა თანაფარდობაც აშკარად თანაბარი იყო და ცხადი გახლდათ, რომ გამარჯვებული ბოლო წუთებამდე არ გაირკვეოდა. ლიდერი 16-ჯერ შეიცვალა, საყაიმო ანგარიში კი 14-ჯერ დაფიქსირდა.

პირველი პერიოდი ბათუმელებმა 22:20 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის ლიდერობა 6 ქულამდე გაზარდეს. მესამე ათწუთეული კავკასიელებმა ზუსტად 6 ქულით – 27:21 მოიგეს და გადამწყვეტ პერიოდს გუნდები ერთნაირი ანგარიშით შეხვდნენ.

ანგარიში თანაბარი იყო ბოლოსწინა წუთზეც, თუმცა, რომელიმე გუნდს უნდა გამართლებოდა და ეს ბათუმი აღმოჩნდა. უფრო ზუსტად, კავკასიელებმა 2 შეტევა გააცუდეს, ბათუმელებმა კი ჩასაგდები ჩააგდეს და გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვა.

ბათუმელთაგან ყველაზე შედეგიანი ოთარ ბულიავა გახლდათ: 16 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა; 17 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა ლუკა კალატოზიშვილმა; დაველ რობის ანგარიშზე 18 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა დაგროვდა; ჰანტერ ბოუდიმ კი, ორმაგი დუბლი – 16 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა; კავკასიაში 22 ქულითა და 7 პასით საუკეთესო იყო ლუკა მაზიაშვილი; 18 ქულა გრეგ ფარჰემმა დააგროვა.

ნახევარფინალში გასული ბათუმი ზესტაფონის მარგვეთს დაუპირისპირდება.

დ ჯგუფი

თსუ-ოლიმპი 99:95

(26:20; 21:21; 32:22; 20:32)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ამის მისაღწევად გვარიანი ჯაფა დაადგა. ოლიმპი ახალგაზრდული გუნდია, დავით როგავამ პერსპექტიული შემადგენლობა შეკრიბა. ახალგაზრდული შემართებითა და ლეგიონერთა დახმარებით ოლიმპმა მოქმედ ჩემპიონ თსუ-ს ბოლომდე ებრძოლა და მცირე სენსაციამდე ცოტა დააკლდა.

ბოლო წუთზე ოლიმპმა მაიკლ რაითის მიჯრით ჩაგდებული 2 სამქულიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, რის შემდეგაც, დროის მოგების მიზნით ტაქტიკური ჯარიმა აიღო. ნოდარ გოგოძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და თსუ 98:95 დააწინაურა. ოლიმპელებს შანსი გაუჩნდათ, ზუსტი სამქულიანის წყალობით ანგარიში გაეთანაბრებინათ, თუმცა, შეტევაში მყოფმა ნიკოლოზ თოთლაძემ პირით ხაზს დააბიჯა ფეხი და ბურთთან ერთად ნახევარფინალის საგზური თსუ-ს გადაეცა.

გამარჯვებულებს ახალწვეულმა კახა ჯინჭარაძემ ულიდერა, რომელმაც 32 ქულა, 7 პასი, 6 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა; 13 ქულა და 6 მოხსნა ალექსანდრე ფევაძეს ანგარიშზეა; ხოლო გიორგი ტურძილაძემ 15 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა; ოლიმპში 21 ქულით ბომბარდირი ენდრიუ ლუისი გახდა; 20 ქულა მაიკლ რაითმა; 17 კი, ლუკა ლიკლიკაძემ მიითვალა.

თსუ ნახევარფინალში ქუთაისს შეხვდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, ანესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

დინამოსა და ტორპედოს მოსაგებად ტაიმები ეყოთ

ეროვნულ ლიგაში 28-ე ტურის დარჩენილი ორი მატჩი გაიმართა. დინამო თბილისმა 3:1 მოუგო გორის დილას, ხოლო ქუთაისის ტორპედომ 5:0 სძლია საბურთალოს...

დინამო (თბ)-დილა 3:1

თბილისი. დავით ჰუტჩიაშვილი

1:0 ხარაიშვილი (11), 2:0 მექვაბიშვილი (18), 3:0 კამარა (24), 3:1 გაგნიძე (71)

დინამო: ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი (კობური 46), კალანდაძე, კადეტე, ოსეი (ოსიყმაშვილი 69), ოდიშარია (ბუშნია 59), ხარაიშვილი (იობაშვილი 69), მექვაბიშვილი, კამარა, სხირტლაძე (მარუშიჩი 69)

დილა: კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ანდრონიკაშვილი, ეტოუ, სილვა, ნ.გაგნიძე, სანტოსი, გომისი (ჩაგანავა 82), ჟან ვიქტორი (მზვაკალი 69), გაფრინდაშვილი (სარდალიშვილი 46), კოვტალიუკი

ანდრეს კარასკოს გაწვრთნილმა დინამომ პირველი ტაიმის 13-წუთიან მონაკვეთში გაიტანა სამივე გოლი.

ანგარიში გიორგი ხარაიშვილმა გიორგი მაისურაძის პასით გახსნა; მალევე, დილას მეკარე ევგენ კუჩერენკომ თანაგუნდელის მიწოდებული ბურთი ხელში დაიჭირა, რის გამოც თავისუფალი დაინიშნა და ანზორ მექვაბიშვილმა ძლიერი დარტყმით ორამდე გაზარდა სხვაობა; მესამე ბურთი კი უსმანე კამარამ გაიტანა – საჯარიმოში მარცხნიდან შევიდა და ტექნიკურად დაარტყა.

მეორე ნახევარში მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა. დილამ შეამცირა სხვაობა: გუნდის კაპიტანმა ნიკა გაგნიძემ საჯარიმოს გარედან მშვენივრად დაარტყა – 3:1.

დინამო თბილისი მეორე ადგილზეა და ლიდერ ბათუმის დინამოს 7 ქულით ჩამორჩება, დილა კი, მეოთხეზე რჩება.

ტორპედო-საბურთალო 5:0

ქუთაისი. ჰამაზ შენგელია

1:0 შერგელაშვილი (25), 2:0 არაბიძე (29), 3:0 ბუღრიძე (43), 4:0 არაბიძე (59პ), 5:0 ნინკოვიჩი (90)

ტორპედო: კლიაიჩი, ნადარაია (კაიკე 62), მონტეირო, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, გიგაური (ნინკოვიჩი 80), აკბარი (ნეტო 80), შერგელაშვილი (გოგლიჩიძე 80), ბუღრიძე, არაბიძე, ფანცულაია (ჰაიდარი 80)

საბურთალო: კუპატაძე, სილაგაძე, გრაჩოვი (მამასახლისი 87), ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ქარდავა, შ.ნონიკაშვილი, ლ.ნონიკაშვილი (ჩადუნელი 46), ო.მამაგეიშვილი (ციცქიშვილი 67), კომახიძე (სიხარულიძე 46), გ.კოხრეიძე (ტაბატაძე 46)

გაძევება: ჯგერენაია (36)

ქუთაისის ტორპედომ 5:0 მოუგო საბურთალოს. ტორპედო მეექვსე პოზიციაზეა, მაგრამ მესამეადგილოსან საბურთალოს მხოლოდ სამი ქულითღა ჩამორჩება.

პირველი გოლი საფირმო საჯარიმო დარტყმით ლაშა შერგელაშვილმა შეასრულა; მერე გიორგი არაბიძემ ზუსტად ითამაშა ართმევაზე და თავადვე დაასრულა – 2:0; პირველი ტაიმის ბოლოს კი, არაბიძის ჩაწოდებულს ირაკლი ბუღრიძის თავური მოჰყვა და 3:0.

მეორე ნახევარში არაბიძემ პენალტი გამოიყენა და დუბლი მიითვალა; ბოლო წუთზე უკვე სერბმა ნიკოლა ნინკოვიჩმაც გაიტანა.

საბურთალომ ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო...

სატურნირო ცხრილი:

1. დინამო (ბთ)	28	18	8	2	67-28	62
2.დინამო (თბ)	28	16	7	5	70-39	55
3.საბურთალო	28	13	6	9	53-35	45
4.დილა	28	12	8	8	44-33	44
5.სამგურალი	28	12	7	9	38-41	43
6.ტორპედო	28	11	9	8	35-31	42
7.თელავი	28	8	7	13	26-44	31
8.სამტრედია	28	7	5	16	31-46	26
9.გაგრა	28	5	8	15	26-54	23
10.შუქურა	28	3	5	20	33-72	8

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

ჩემპიონთა ლიგის მეორე ტური სენსაციური შედეგებით დაიწყო

A ჯგუფი

მანჩესტერი-გალათასარაი 2:3

1:0 ჰოილუნდი (17), 1:1 ზაჰა (23), 2:1 ჰოილუნდი (67), 2:2 აქთიურქოღლუ (71), 2:3 იკარდი (81)

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა მანჩესტერში, სადაც იუნაიტედი გალათასარაის დაუხვდა და 2:3 წააგო. მანჩესტერი ჰოილუნდის გოლით ორჯერ იგებდა. ჯერ ზაჰამ გაათანაბრა, შემდეგ – აკთურქოღლუმ. გამარჯვების გოლი კი მანჩესტერელებს იკარდიმ გაუტანა, რომელმაც 2 წუთით ადრე პენალტი გააცუდა.

კოპენჰაგენი-ბაიერნი 1:2

გოლები: 1:0 ლერაგერი (56), 1:1 მუსიალა (67), 1:2 ტელი (83)

ამ ჯგუფში თამაშობს დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენი. ჩვენებურს ტრავმა აქვს და მიუნხენის ბაიერნთან საშინაო მატჩი არ უთამაშია. დანიელები თავიდან დაწინაურდნენ, მაგრამ სასურველი ანგარიში ვერ შეინაურჩუნეს და 1:2 დამარცხდნენ.

ბაიერნი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო 36 მატჩში დაუმარცხებელია. აქედან 33 მოიგო და 3 ფრედ ითამაშა. ამასთან, მიუნხენურმა კლუბმა ზედიზედ მოიგო 15 მატჩი. ორივე სერია ჩემპიონთა ლიგის რეკორდია.

ჯგუფს ბაიერნი 6 ქულით ლიდერობს, გალათასარაის 4 ქულა აქვს, კოპენჰაგენს – 1, ხოლო უქულო მანჩესტერი ბოლოზეა.

B ჯგუფი

ლანსი-არსენალი 2:1

0:1 ჟეზუში (14), 1:1 ტომასონი (25), 2:1 ვაჰი (69)

სენსაციური მარცხი განიცადა კიდევ ერთმა ბრიტანულმა კლუბმა ლონდონის არსენალმა.

თავიდან ლონდონელები იგებდნენ, მაგრამ ფრანგებმა მოახერხეს და თამაში სათავისოდ შემოატრიალეს და ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს.

ეინდჰოვენი-სევილია 2:2

0:1 გუდელი (68), 1:1 დე იონგი (86პ), 1:2 ენ ნესირი (87), 2:2 ტეზე (90)

ამავე ჯგუფში პსვ ეინდჰოვენი და სევილია დაზავდნენ. ესპანელები ორჯერ იგებდნენ და ახლოს იყვნენ 3 ქულასთან, მაგრამ ბოლო წუთზე გაუშვეს და ქულას დასჯერდნენ.

ლანსი 4 ქულით პირველია, 3-ქულიანი არსენალი – მეორე, სევილიას 2 ქულა აქვს, პსვ-ს – 1.

C ჯგუფი

ნაპოლი-რეალი 2:3

1:0 ოსტიგორი (19), 1:1 ვინისიუსი (27), 1:2 ბელინგემი (34), 2:2 ჟელინსკი (54პ), 2:3 მერეტი (78სკ)

ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლი საშინაო არენაზე მადრიდის რეალთან დამარცხდა. ჩვენებურს შედეგიანი ქმედება არ ჰქონია, მაგრამ ნეაპოლელთა პირველი გოლი მის კუთხურს მოჰყვა. მე-19 წუთზე ხვიჩამ ჩააწოდა, რის შედეგადაც ნათანმა დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა და დამატებაზე ლეო ოსტიგორმა გაიტანა – 1:0.

მალე კარლო ანჩელოტის გუნდმა ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი, წინაც გავიდა. პირველი გოლი ჯოვანი დი ლორენცოს უხეშ შეცდომას მოჰყვა, მეორე კი ჯულიანო შელბერგმა ლამაზ სტილში გაიტანა.

ნაპოლიმ შესვენების შემდეგ პენალტით გაათანაბრა, რომელიც გოლად პიოტრ ჟელინსკიმ აქცია. 78-ე წუთზე კი ფედერიკო ვალვერდემ შორიდან დააქუხა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, შემდეგ – მერეტის და კარში შევარდა – 2:3.

უნიონი-ბრაგა 2:3

1:0, 2:0 ბეკერი (30, 37), 2:1 ნიაკატე (41), 2:2 ბრუმა (51), 2:3 კასტრო (90)

ამაგე ჯგუფში ბრაგამ ბერლინში, უნიონს აჯობა. არადა, გერმანელები 41-ე წუთამდე ორბურთიანი უპირატესობით იგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში უკვე ბრაგამ იმარჯვა. პორტუგალიელებმა პირველ ტაიმშივე შეამცირეს სხვაობა, შესვენების შემდეგ კი, 2 გოლი გაიტანეს და შინ 3 ქულა წაიღეს.

რეალს 6 ქულა აქვს, ნაპოლისა და ბრაგას – 3-3, ხოლო უნიონი უქულოა.

D ჯგუფი

ზალცბურგი-სოსიედადი 0:2

0:1 ოიარსაბალი (7), 0:2 მენდესი (27)

სან სებასტიანის სოსიედადმა ავსტრიაში ზალცბურგს ნახევარ საათში ორი გოლი გაუტანა და თამაში მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

ბასკებმა ოიარსაბალისა და ბრაის მენდესის გოლებით ჩემპიონთა ლიგაში 2003 წლის შემდეგ პირველად მოიგეს.

ინტერი-ბენფიკა 1:0

1:0 ტურამი (62)

მოიგო მილანის ინტერმა, რომელმაც ბენფიკას მარკუს ტურამის გოლით დაძაბულ ბრძოლაში აჯობა. პორტუგალიელებმა წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მაგრად ითამაშეს, მაგრამ წელს, შესაძლოა, ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ.

სოსიედადსა და ინტერს 4 ქულა აქვთ, ზალცბურგს – 3, ხოლო ბენფიკა უქულოა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

3 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

მანჩესტერი-გალათასარაი	2:3
კოპენჰაგენი-ბაიერნი	1:2
ლანსი-არსენალი	2:1
ეინდჰოვენი-სევილია	2:2
ნაპოლი-რეალი	2:3
უნიონი-ბრაგა	2:3
ზალცბურგი-სოსიედადი	0:2
ინტერი-ბენფიკა	1:0

ინგლისი. ჩემპიონატი

ლუთონი-ბარნლი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	7	6	0	1	17-5	18
2.ტოტენჰემი	7	5	2	0	17-8	17
3.არსენალი	7	5	2	0	15-6	17
4.ლივერპული	7	5	1	1	16-7	16
5.ასტონ ვილა	7	5	0	2	18-11	15
6.ბრაიტონი	7	5	0	2	19-14	15
7.ვესტ ჰემი	7	4	1	2	13-10	13
8.ნიუკასლი	7	4	0	3	18-7	12
9.კრ.პალასი	7	3	2	2	7-7	11
10.მანჩესტერი	7	3	0	4	7-11	9
11.ჩელსი	7	2	2	3	7-6	8
12.ნოტინგემი	7	2	2	3	8-10	8
13.ფულემი	7	2	2	3	5-12	8
14.ბრენტფორდი	7	1	4	2	10-10	7
15.ვულვზი	7	2	1	4	8-13	7
16.ევერტონი	7	1	1	5	6-12	4
17.ლუთონი	7	1	1	5	6-14	4
18.ბარნლი	7	1	1	5	6-16	4
19.ბორნმუთი	7	0	3	4	5-15	3
20.შეფილდი	7	0	1	6	5-19	1

კალეიდოსკოპი

მეთევზეებმა უზარმაზარი სკატი დაიჭირეს



ამერიკის კონეკტიკუტის შტატის თევზის რესურსებისა და გარეული ცხოველების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 181 კილოგრამიანი სკატი დაიჭირეს.

მეთევზეთა ჯგუფმა უზარმაზარი თევზი ლონგ-აილენდის სრუტის აკვატორიის კვლევის დროს დაიჭირა. მათი უიშვიათესი ნადავლი აღმოჩნდა ჩრდილოეთის ეკალკუდიანი სკატების ოჯახის წარმომადგენელი. მტაცებელი თევზის სიგრძემ 1,8 მეტრი, ხოლო სიგანემ 1,5 მეტრი შეადგინა. სკატი, რომელსაც ზურგზე უამრავი ეკალი აქვს, გემის გემბანზე აიტანეს და ზურგზე დააწვინეს. დეპარტამენტის თანამშრომლებმა თევზი აზომეს, ფოტოსურათები გადაუღეს და მაშინვე წყალში დააბრუნეს.

ბუნების დამცველთა კიდევ ერთი ნადავლი აღმოჩნდა სხივისებრთა სახეობის მტაცებელი თევზი, რომლის სიგრძემ შესაძლოა ორ მეტრს მიაღწიოს, ხოლო წონამ 68 კილოგრამი შეადგინოს.

დღეგრძელობის იდეით შეპყრობილმა მილიარდერმა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაგრძელების საშუალებები გაამხილა

გერმანელმა მილიარდერმა კრისტიან ანგემაიერმა ისაუბრა იმ საშუალებებზე, რომელიც სიცოცხლის გახანგრძლივების შესაძლებლობას წარმოადგენს.

ანგემაიერი დღეგრძელობის იდეითაა შეპყრობილი და ამისთვის აფინანსებს სიცოცხლის გახანგრძლივების სფეროში მიმდინარე კვლევებს. ამავე დროს ის თვლის, რომ არ არსებობს დაბერების პროცესის შემანელებელი უბრალო საშუალება, რომელიც ყველას მიესადაგება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი საშუალების მიგნება მომავალში გახდეს შესაძლებელი. საკუთარი მიზნის მისაღწევად მილიარდერი ხუთი წესის დაცვას ცდილობს, რომლებიც, მისი აზრით, სიცოცხლის გახანგრძლივების შანსს ზრდის.

ანგემაიერი თვლის, რომ დღეგრძელობა პირდაპირ კავშირშია კარგ ძილთან. ხანგრძლივი ძილი აუმჯობესებს ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მამაკაცებში კი ზრდის ტესტოსტერონის გამოყოფას.

– ძილია ის, რომელიც ბუნებისგან (ან ღმერთისგან) გვაქვს ბოძებული იმისთვის, უფრო ნელა დავბერდეთ, ჩვენ კი ამას საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას, – ამბობს გერმანელი მილიარდერი.

ასევე ანგემაიერი გვირჩევს უარი ვთქვათ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე, მუდმივად, თუმცა ზომიერად დავიტვირთოთ სპორტით და შევეცადოთ დავიცვათ ხმელთაშუა ზღვის დიეტა. ამ ყოველივეს გარდა, ის ასევე გვირჩევს, რაც შეიძლება მეტი ურთიერთობა ვიქონიოთ ახლობლებთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში" მოთამაშე, 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო, ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

თარაზულად: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზიასახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მწევარი; 2. ზარზმა; 3. ბაკურიანი; 4. პრიზმა; 5. პამპერსი; 7. არვე; 11. ძილქუში; 13. ქებურია; 15. ყანწი; 16. კეჩუა; 18. ღვინო; 19. ვეკუა.

თარაზულად: 6. წიწაკა; 8. დარჯაკი; 9. ბაირამი; 10. ანდერძი; 12. ვახტი; 14. დაგერი; 17. ნაბეღლავი; 20. ღრუბელი; 21. მწყერი; 22. ნადური; 23. გამბუზია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აკაპელა; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. ტროტილი; 13. ვივიენი; 15. ალილო; 16. დორსე; 18. რუმბი. 19. სენტო.

თარაზულად: 6. კოვბოი; 8. სისტოლა; 9. ქაშვეთი; 10. ესკორტი; 12. ვისკი;. 14. ჟიგოლო; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. პლებეი; 22. ბენტლი; 23. აერობუსი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

5 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6806

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2500

ევრო — 2.8154

100 რუსული რუბლი — 2.6954

ამინდის პროგნოზი 5 ოქტომბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ანჩელოტი: „ნაპოლისთან მოგება დავიმსახურეთ“

მადრიდის რეალმა სტუმრად ნაპოლი დაამარცხა ანგარიშით 3:2 და შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა.

გამარჯვების გოლი ფედერიკო ვალვერდეს ანგარიშზეა, რომელმაც ლამაზი შორეული დარტყმით შეძლო ნაპოლის კარის აღება. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ რეალმა გამარჯვება დაიმსახურა:

– ნაპოლი ძალიან ძლიერი გუნდია და ველოდი, რომ მათთან რთული თამაში გვექნებოდა, მაგრამ ვთვლი, რომ თამაშის შედეგი სამართლიანია. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ რთულ მდგომარეობაში შეგვიძლია გამოსავალი ვიპოვოთ.

ხელის თხოვნა ბრუნო მარსის კონცერტზე

თბილისში, „დინამო არენაზე“ გამართულ მსოფლიო ვარსკვლავის ბრუნო მარსის კონცერტზე კიდევ ერთი ოჯახი შეიქმნა.

„სუხიშვილების“ სოლისტს ელენე ჩიტაშვილს თავისუფალი თეატრის მსახიობმა ოთო ლაშხიშვილმა ხელი სთხოვა და თანხმობაც მიიღო.

წყვილის გაბედნიერების ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და უამრავი ნახვა და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

ჰარი კეინი: „კოპენჰაგენმა სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია“



მიუნხენის ბაიერნმა სტუმრად კოპენჰაგენი დაამარცხა 2:1 და ეს შეხვედრა ბაიერნისთვის საკმაოდ რთული გამოდგა, რადგან ისინი აგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა.

ჰარი კეინის აზრით, ბაიერნს საუკეთესო თამაში არ ჰქონია:

– ლოპენჰაგენმა სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია და ჩვენ საკმაოდ დავუშვით შეცდომები, რომლის გამოსწორებაზეც აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ. საბოლოოდ მიხარია, რომ მოვიგეთ.

ინგა ფერაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა

ბრიუსელის თავშესაფართში მყოფი ქართველი მომღერლის ინგა ფერაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

ინფორმაცია მისმა მეგობარმა, ჟურნალისტმა მაკა რაზმაძემ გაავრცელა:

– ცოტა ხნის წინ გიყვებოდით ინგა ფერაძესთან დაკავშირებით, რომ მზადდებოდა მისი საქართველოში ჩამოყვანა, იგეგმებოდა კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა. ამ თემაზე იყო მოლაპარაკებები გარკვეულ ინსტანციებთან და ინგას პასპორტიც მზადაა და სხვა დეტალებს აღარ დავაკონკრეტებ.

სამწუხაროდ, ბოლო მომენტში ინგას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ახლა ის საავადმყოფოშია მოთავსებული. მქონდა საშუალება მასთან საუბრის, თუმცა, მეტყველება უჭირს და მდგომარეობაც უკეთესობისკენ არ მიდის. არ ვიცით როგორ იქნებაო, ექიმები არ გვაიმედებენ.

მე მაინც იმედი მაქვს, რომ ინგა გამოჯანმრთელდება და ჩამოვა. არ ვიცი სხვა რა ვთქვა. მისი შვილი ანუკა ადგას თავზე და ყველანაირად იბრძვის, რომ ინგა გამოჯანმრთელდეს.

მოჰამედ სალაჰი: „მინდა, რომ ევროპის ლიგა მოვიგო“

ლივერპულის მთავარმა ვარსკვლავმა მოჰამედ სალაჰმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ევროპის ლიგას სერიოზულად უყურებს და ისინი შეეცდებიან, რომ ეს ტიტული მოიგონ, მიუხედავად იმისა, რომ სალაჰს ჩემპიონთა ლიგაში სურს თამაში:

– მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობდეთ, მაგრამ რეალობა სხვაგვარია და ჩვენ ევროპის ლიგაზე უნდა გავაკეთოთ კონცენტრაცია. მჯერა, რომ ამ ტურნირის მოგება შეგვიძლია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ზვიად ბოლქვაძეს მონოდრამა თბილისში ჩამოაქვს

კომპოზიტორსა და მომღერალს ზვიად ბოლქვაძეს მონოდრამა „მედეას ვნებანი“, რომელიც კოლხ მედეას მიუძღვნა, თბილისში ჩამოაქვს.

10 ოქტომბერს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ხელოვანის ნამუშევრის სასცენო შესრულება იქნება წარმოდგენილი ორღანის, გუნდისა და ორკესტრისათვის.

მონოდრამა ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდას“ მიხედვითაა დაწერილი. მუსიკა მითოლოგიურ მედეაზეა, მის გრძნობებსა და განცდებზე. სიყვარულზე, რომელიც იმდენად დიდი და მძლავრია, რომ შეუთავსებელია სიცოცხლესთან. გრძნობაზე, რომელიც მას ადგმევინებს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც სხვებისთვის გაუგებარი, შემზარავი და დანაშაულებრივია. მონოდრამა მისი შინაგანი მონოლოგია, ჩადენილი დანაშაულისა და საკუთარი ცოდვების გააზრებით. მთელი ნაწარმოები მედეას კოშმარების განსხეულებული ზმანებაა, მისი სიზმრების, აღსარების, დრამატული ბოდვების მონაცვლეობით.

ტორესა მოსი ქართველი გამომცემლებით ამაყობს

მწერალი და ტელეწამყვანი ტორესა მოსი ქართველი გამომცემლებით ამაყობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მწერალთა სახლთან ბოიკოტის რეჟიმში მყოფმა ქართველმა გამომცემლებმა გადაწყვეტიეს, დამოუკიდებლად წარადგინონ ქართული ლიტერატურა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე:

– ამაყი ვარ, რომ ის მომაკვდინებელი და უბედური სენი, რითიც დაასნებოვნა ეს ქვეყანა ჯერ ნაციონალურმა მოძრაობამ და შემდეგ კუბში აიყვანა „ქართულმა ოცნებამ“, ვერ მოერია ქართულ ლიტერატურას. ვგულისხმობ პოლარიზაციას, ერთმანეთთან გაუცხოებას, კამათისა და დისკუსიის კულტურის განადგურებას.

ამ ქვეყნის ოთხმა, ყველაზე დიდმა გამომცემელმა, რომლებიც ბუნებრივად არიან ერთმანეთთან კონკურენციაში ქვეყნის შიგნით, გვაჩვენეს თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის მაგალითი. ქართული ლიტერატურა იქნება წარმოდგენილი ფრანკფურტში, იქნება ღირსეულად, პრინციპებისა და წლების განმავლობაში ნაშენები სტანდარტების სრული დაცვით.

სულაკაურის გამომცემლობა, გამომცემლობა „ინტელექტი“, გამომცემლობა „პალიტრა ელი“ და გამომცემლობა „არტანუჯი“ თავის თავზე იღებენ ქართველი მწერლებისა და ქართული ლიტერატურის წარდგენას ფრანკფურტში. ეს იქნება სტენდი, რომელიც ღია იქნება ყველასთვის, მიუხედავად იმისა, უცხადებს თუ არა ბოიკოტს მწერალთა სახლსა და კულტურის სამინისტროს.

ამაყი ვარ ჩემი 100-ზე მეტი კოლეგის გამო, რომლებსაც ხმამაღლა და განწირულად ეძახიან, რომ ფული უდევთ და თქვენ ოღონდ მოდით, მაგრამ არ მიდიან სათანამშრომლოდ.

ბატონი ბიძინა მიეჩვია, რომ ყველას და ყველაფერს ყიდულობს, მაგრამ ქართული ლიტერატურის სახით დაეჯახა ყრუ კედელს, რომელში გაღწევაც ფულით, მუქარითა და შანტაჟით არ შეუძლია. ქართული ლიტერატურა ქმნის მაგალითს, როგორ შეიძლება ითანამშრომლონ განსხვავებული ინტერესების, შეხედულებებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანებმა და ორგანიზაციებმა ისე, რომ არ მოხდეს პოლარიზაცია, გახლეჩა, ტოტალური უნდობლობისა და დაუნდობლობის გარემოს შექმნა.

ეს არის გზა, რომელსაც შეუძლია ეს ქვეყანა გაიყვანოს სამშვიდობოს და სწორედ ამის მოლოდინი აქვთ ჩვენგან ჩვენს ევროპელსა და ამერიკელ მეგობრებს.

ეს სჭირდება ამ ქვეყანას – სივრცეების გახსნა, ერთმანეთთან დიალოგის წარმოება და შეთანხმებების გზით სიარული.

თათია კობალაძემ ამერიკაში მიწვევა მიიღო

მომღერალ თათია კობალაძეს ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი ოცნება აუხდა და ამერიკის მიწვევა მიიღო:

– მადლიერება არის გრძნობა, რომელიც ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს! დიდი ხანია მინდა დავწერო ამ ქალბატონზე, მაგრამ აზრებს თავს ვერ ვუყრიდი შოკისა და ემოციებისგან!

მეგობრებო, ეს არის ადამიანი, რომელიც არის სიკეთისა და ბედნიერების განსახიერება! მეტირება, აღარ მეგონა, თუ არსებობდნენ მსგავსი ადამიანები!

ყველამ იცით ჩემი დიდი ხნის ოცნების შესახებ, ეს არის ამერიკა – ოცნებების ასრულების ქვეყანა, სადაც თითქმის ყველა მომღერლის თუ მუსიკოსის ოცნებაა წასვლა! ყველას გისურვებთ, როგორი ბედნიერიც მე ვარ ახლა, ისეთივე სიხარულს ცხოვრებაში.

მოკლედ, ოცნების ასრულებისთვის ასე უბრალოდ არ ვზივარ და არ ველოდები სასწაულს, ჩემი მთელი ცხოვრება ვიბრძვი! ვის არ ვთხოვე დახმარება – მეგობრებს, ნათესავებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ამერიკაში, აი, ვის აღარ, მეგობრებო. ეს გრძელდება წლების მანძილზე და ეს ქალბატონი დიანა ბაგრატიონი არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც, როგორც კი მივწერე, თავისით დამეკონტაქტა, დამირეკა და უსიტყვოდ, უბრალოდ მკითხა, რა არის შენი ოცნებაო და პასუხი რომ გაიგო, უანგაროდ გამომიგზავნა ორი მოწვევა!

მოწვევა საკმაოდ დიდი თანხა ჯდება. ეს ქალბატონი აბსოლუტურად უსასყიდლოდ დამეხმარა და ჩემი ოცნება ასრულდა! მე მალე ჩავალ ლოს ანჯელესში და ბევრად უფრო მალე ნახავთ, როგორ ავაფრიალებ ქართულ დროშას!

ქალბატონი დიანას თხოვნა ეგ იყო სწორედ – მიდი, შვილო, შენისთანა ნიჭიერებს არასდროს ვეტყვი უარს დახმარებაზეო!

პ.ს. დავკონკრეტდები და გეტყვით, რომ ამ ქალბატონს საერთოდ არ ვიცნობდი! სრულიად უცხო ადამიანს დამეხმარა!

მივმართავ ბიზნესმენებს, მიბაძეთ ამ ქალბატონს! თქვენთვის ჯიბის ფული არის ის, რამაც შეიძლება მეორე ადამიანის ცხოვრება სრულიად შეცვალოს! დაეხმარეთ ნიჭიერ ადამიანებს, ძალიან გთხოვთ! ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია ჩვენს ქვეყანაში!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქართული კულტურა საფრთხეშია!

ასე მიაჩნია საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც ქართულ თეატრში, ქართულ კინოში, ქართულ ლიტერატურაში, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში, საქართველოს მუზეუმებში საშიში მოვლენების განვითარების საფრთხეს ხედავს:

– ქართული თეატრი საფრთხეშია! – კულტურის სამინისტრომ სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებად არ დანიშნა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არცერთი კანდიდატი. მათ შეეზღუდათ კონკურსში მონაწილეობის უფლება, გახდნენ დისკრიმინაციული ქმედებებისა და საჯარო დამცირების მსხვერპლნი.

ქართული კინო საფრთხეშია! – კულტურის სამინისტრომ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მართვა პროპაგანდისტ ტელეწამყვანს ჩააბარა. ამით ჩვენს კულტურულ ლანდშაფტში მნიშვნელოვანი ინსტიტუტის დამოუკიდებლობა შეზღუდა და ეჭვქვეშ დააყენა მისი სანდოობა. 400-ზე მეტი კინემატოგრაფისტი ბოიკოტის რეჟიმშია. ქართული ლიტერატურა საფრთხეშია! – კულტურის სამინისტრომ საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორად მმართველი პარტიის დეპუტატი დანიშნა. ქართველი მწერლების უდიდესი ნაწილი ბოიკოტს აცხადებს და პოლიტიკურად მიუკერძოებელ ლიტერატურულ სივრცეს ითხოვს.

საქართველოს მუზეუმები საფრთხეშია! – კულტურის სამინისტრომ ეროვნულ მუზეუმში მასობრივი დევნის კამპანია დაიწყო. სამსახურიდან გაათავისუფლა ის სპეციალისტები, რომლებიც აფიქსირებდნენ მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკულ აზრს, ან ჩართულნი იყვნენ პროფკავშირულ საქმიანობაში. მათ ადგილას წამყვან პოზიციებზე დაინიშნენ პენიტენციური სისტემის ყოფილი თანამშრომლები. ქართული კულტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია! – ნეპოტისტურმა მიდგომამ ინსტიტუტების მართვაში საფრთხე შეუქმნა ჩვენს მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. საფრთხეშია მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები. რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ძეგლს უკვე მიადგა გამოუსწორებელი ზიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ამერიკული ჯიპი; 2. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 8. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 9. უბანი ქუთაისში; 12. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება.

თარაზულად: 1. ანტიკური მედიცინის ფუძემდებელი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 9. ფრანგი ტიფლო-პედაგოგი, უსინათლოთათვის შრიფტის შემქმნელი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. ქართული სანადიმო სიმღერა; 13. გარეული ცხოველი მადრიდის სიმბოლო; 15. ბოლშევიკების ბელადი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ხეობა საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა